# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


ოთხშაბათი, 5 ივნისი. 2024 წ. №66 (9746) ელ.ფოსტა: sak@sak.ge ფასი 1 ლარი


## როცა პარლამენტი სამართლიანი და პრინციპულია!

③

„უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონი ამოქმედდა

## პეტრე მამრაძე:

## როგორ არ ჰყოფნით თეთრ სახლში ჭკუა, რომ მთელ მსოფლიოში ასე არ აამხედრონ ერები ამერიკელების წინააღმდეგ

④







③

## ლიბერალური ფაშიზმი კლასიკურ ფაშიზმსა და ბოლშევიზმზე უარესია!

### სახალხო პოეტის უკვდავება

## თუ ღვინოს ყანწი ველარ გაავსო, ცრემლით ავავსებ თქვენს სადღეგრძელოს...

⑥



## სანქციებთან დაკავშირებით ოპოზიციის ტყუილი სახელმწიფო დეპარტამენტმა გამოააშკარავა.

ოპოზიცია მმართველი გუნდის წევრების დასანქცირებას ისევ უშედეგოდ ელის. მათ მიერ გავრცელებული მორიგი ტყუილი, რომ სანქციები უკვე ამოქმედდა, სახელმწიფო დეპარტამენტის პრესმდივანმა გამოამჟღავნა. მეთიუ მილერმა თქვა, რომ ინდივიდუალური სანქციები ჯერ არ ამოქმედებულა. ამ განცხადების შემდეგ ოპოზიციამ რიტორიკა მაინც არ შეცვალა.

მთავრობის მეთაური კი აცხადებს, რომ სანქციებით მუქარას შედეგი არ ექნება, რადგან ხელისუფლება პირველ რიგში ქართველი ხალხის ინტერესების გათვალისწინებით მოქმედებს.



## ლევილში ბასიანმა და რუსთაველმა მსმენელი გაახარეს

⑧

## ოთარ შენგელია

### სამართალმცოდნე, პოლიტიკოსი, საზოგადო მოღვაწე



⑤

## გიგა ჯაფარიძის ფენომენი



## კაცი — თეატრი, რაჭის სული...

## საუკუნის მოვლენა



### ემზარ კვიტაიშვილის ეპიგრამები

## აღზევებული ბოროტების დასათრგუნავად

⑦



# წიგნი, როგორც სულიერი განძი

**ილია მეორე:**
**მიუხედავად განსხვავებული რწმენისა, საქართველოს შვილებს სამშობლოს სიყვარული გვაკავშირებს და გვაერთიანებს**

წიგნის – ,,საქართველოში მოქმედი საკულტო ნაგებობები“ წარდგენისას კათოლიკოს-პატრიარქი წერილით ეხმიანება.

„დღეს საზოგადოებას წარედგინება რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს მიერ გამოცემული წიგნი – ალბომი, რომელიც მოიცავს საქართველოში მოქმედ სალოცავებს როგორც მართლმადიდებლურს, ისე სხვა ქრისტიანულსა და არა ქრისტიანულს. იგი, ფაქტობრივად, გაგრძელებაა წინა გამოცემებისა, – ,,თბილისში მოქმედი სალოცავები – საკულტო ნაგებობები“ (როგორც ამას ავტორები უწოდებენ) და ,,ოკუპირებული მემკვიდრეობა“.

ამ წიგნებით დასრულდა აღწერა საქართველოში მოქმედი ტაძრებისა და სალოცავებისა და აღსრულდა უდიდესი საქმე, – შედეგი არაერთი ადამიანის თავდაუზოგავი შრომისა, წარმომჩენი ჩვენი მრევლის, ჩვენი მღვდელმთავრებისა და სასულიერო პირების მუშაკობისა;

მოცემული მასალა ნათლად ასახავს, შედარებით მცირე პერიოდში თუ რამდენი ტაძარი აღდგა, რესტავრირდა და რამდენიც ახლად აშენდა სადიდებლად ღვთისა და სამსახურებლად ერისა ჩვენისა. ეს არის XXI საუკუნის I მეოთხედის ჩვენი ქვეყნის ერთგვარი სულიერი ფოტო-მატიანე.

წარმოდგენილი ნაშრომები თავისთავად ითხოვს გაგრძელებას. ვგულისხმობ თუნდაც იმ ეკლესია-მონასტრებსა და სალოცავებს, რომლებიც დღეის მდგომარეობით არ არის მოქმედი ან ნანგრევის სახითაა შემორჩენილი. მათი აღწერაც მნიშვნელოვანია, რომ გვქონდეს სრული ინფორმაცია გასაკეთებელი საქმის შესახებ. ასევე, სასურველია, საზღვარგარეთ არსებული ჩვენი ეკლესიების წარმოჩენაც

მინდა დავლოცო ბატონი ზაზა ვაშაყმაძე, რომლის მონდომებით და ზედამხედველობით განხორციელდა აღნიშნული წიგნების დაბეჭდვა და არაერთი სხვა უმნიშვნელოვანესი გამოცემა; დავლოცო მისი სამუშაო ჯგუფის თითოეული წევრი და შემდგომი წარმატებები ვუსურვო მათ საღვთო და საქვეყნო საქმეთა აღსრულებაში.

საქართველო ოდითგანვე გამორჩეულია შემწყნარებლობით, რასაც მოწმობს მართლმადიდებლურ ქვეყანაში სხვა რელიგიების არაერთი საკულტო ნაგებობის არსებობაც. მიუხედავად განსხვავებული რწმენისა, საქართველოს შვილებს სამშობლოს სიყვარული გვაკავშირებს და გვაერთიანებს.

შევთხოვ ღმერთს, მშვიდობითა და ერთობით აკურთხოს ჩვენი მოსახლეობა და სრულიად საქართველო, ამინ“!

**საპატრიარქოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური**



# პრემიერ-მინისტრი განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს თანამშრომლებს შეხვდა

**საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს თანამშრომლებს შეხვდა.**

მთავრობის მეთაურმა შეხვედრაზე განათლების სფეროში დაგეგმილ ფუნდამენტურ ცვლილებებზე გაამახვილა ყურადღება და აღნიშნა, რომ ახალ სამთავრობო პროგრამაში განსაკუთრებული აქცენტი უმაღლეს განათლებასა და მეცნიერებაში ფუნდამენტურ ცვლილებებზე გაკეთდება. პრემიერის თქმით, პრიორიტეტი მიენიჭება სასწავლო ინფრასტრუქტურის თვისებრივ გაუმჯობესებას, რაც სტუდენტებსა და ახალგაზრდებს თვითრეალიზების უკეთეს შესაძლებლობას მისცემს.

ირაკლი კობახიძემ ხაზი გაუსვა საჯარო მოხელეების უმნიშვნელოვანეს როლს ქვეყნის განვითარების საქმეში და სამინისტროს თანამშრომლებს წლების განმავლობაში გაწეული სამსახურისთვის მადლობა გადაუხადა.

პრემიერმა შეხვედრისას ასევე ისაუბრა ქვეყანაში მიმდინარე და დაგეგმილ მსხვილ ინფრასტრუქტურულ პროექტებსა და პოლიტიკური სტაბილურობის განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე ქვეყნის განვითარებისთვის.

შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა.

**მთავრობის ადმინისტრაციის პრესსამსახური**



# შალვა პაპუაშვილი: 17 მაისს შედგა სახალხო რეფერენდუმი ქართული ოჯახის სიწმინდის შესახებ!..

„მიმდინარე წლის 17 აპრილს პარლამენტში შეიქმნა კონსტიტუციური პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვის კომისია, რომელმაც ერთი თვის განმავლობაში რეგიონებში ჩაატარა შეხვედრები, რათა მოსახლეობასთან ერთად განგვეხილა ოჯახურ ღირებულებათა და არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ კონსტიტუციური პროექტი, ასევე ცვლილება საქართველოს კონსტიტუციაში. ერთი თვის განმავლობაში კომისიამ ჩაატარა 11 შეხვედრა, მოვიცავით ყველა რეგიონი, შევხვდით 5 ათასამდე ჩვენს მოქალაქეს, გვქონდა დისკუსიები კანონპროექტთან დაკავშირებით და მოვისმინეთ მოსახლეობის მოსაზრება. კომისიამ თავისი მუშაობა დაასრულა 17 მაისს.

იცით, რომ 17 მაისს გაიმართა დიდი სახალხო შეკრება, რომელიც ეძღვნებოდა ოჯახური ღირებულებების საკითხს, ოჯახური სიწმინდის დაცვის დღესასწაულს. ფაქტობრივად, ამ დღეს შედგა სახალხო რეფერენდუმი. ვნახეთ ათიათასობით ადამიანი, რომელიც გამოსული იყო რეგიონებში, ასიათასობით ადამიანი, რომელიც გამოსული იყო თბილისში და ფაქტობრივად, ოჯახის სიწმინდის დღეს შედგა სახალხო რეფერენდუმი თავად კონსტიტუციურ კანონპროექტთან დაკავშირებით. ვნახეთ ჩვენ ხალხის მხარდაჭერა ამ კანონპროექტთან დაკავშირებით. კომისიამ ყველა მასალა გადასცა იურიდიულ საკითხთა კომიტეტს, რომელიც უკვე საკონსტიტუციო პროცესს გააგრძელებს და იქნება ჯერ საკომიტეტო, შემდეგ უკვე პლენარულ სხდომაზე განხილვა. იცით, რომ სჭირდება კვალიფიციური უმრავლესობა, სამი მეოთხედი კონსტიტუციურ ცვლილებას, ვნახოთ როგორც მოიქცევა ოპოზიცია. ჯერჯერობით ვხედავთ, რომ ისინი, ერთი მხრივ, არ აფიქსირებენ თავის პოზიციას, რადგან იციან გამოხატულად, რას ფიქრობს ქართველი ხალხი. ამავე დროს, გამომდინარე იქიდან, რომ ისინი ყოველთვის იყურებიან გარეთ და ელოდებიან სიგნალს გარედან, აქაც თავს იკავებენ პოზიციის დასახელებისგან“...




# პერ როთ, ყველამ თავის ,,ოჯახს“ და უკანალს მიხედოს!



გერმანიის პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე, მიხაელ როთი „ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ“ კანონების პაკეტს სოციალურ ქსელში ეხმაურება და აცხადებს, რომ კრიტიკულად განწყობილ სამოქალაქო საზოგადოებაზე „უცხოური აგენტების“ შესახებ კანონით თავდასხმის შემდეგ, საქართველოს მთავრობა სექსუალურ უმცირესობებს უმიზნებს.

„LGBTI თემის წინააღმდეგ რუსულ სტილში რეპრესიები საქართველოს ევროპული ამბიციებისთვის კიდევ ერთი გამაფრთხილებელი ნიშანია. მმართველმა პარტიამ უნდა შეწყვიტოს ინიციატივები, რომლებიც საქართველოს მომავლის განადგურებას უკავშირდება“, - აღნიშნა მიხაელ როთმა.

# ლიბერალური ფაშიზმი კლასიკურ ფაშიზმსა და ბოლშევიზმზე უარესია!




**საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ მთავრობის 3 ივნისის სხდომაზე სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებსა და ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელზე ისაუბრა.**

**როგორც პრემიერმა აღნიშნა, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ გამოქვეყნებული მონაცემებით, აპრილში ეკონომიკურმა ზრდამ 11,8 პროცენტი შეადგინა, რაც ძალიან მაღალი მაჩვენებელია, ხოლო იანვარ-აპრილის საშუალო ეკონომიკური ზრდა 9 პროცენტი იყო.**

**„ეს შედეგი მნიშვნელოვნად აღემატება საერთაშორისო სავალუტო ფონდის პირვანდელ პროგნოზს. თავდაპირველად პროგნოზირებული იყო 4,8 პროცენტი წლიური ეკონომიკური ზრდა. ამ მაჩვენებელს ბევრად აღემატება 4-თვიანი საშუალო ეკონომიკური ზრდის მონაცემები და დარწმუნებული ვართ, წლის ბოლომდე, 2024 წლის მომდევნო თვეების განმავლობაშიც შევინარჩუნებთ მაღალ ეკონომიკურ ზრდას...**

მთავრობის მეთაური ასევე გამოეხმაურა საქსტატის მიერ გამოქვეყნებულ სიღარიბის განახლებულ მონაცემებს, რომლის თანახმად, 2023 წელს სიღარიბის ზღვარს მიღმა მცხოვრები მოსახლეობის მაჩვენებელმა შეადგინა 11,8 პროცენტი, რაც 2022 წლის მაჩვენებელზე 3,8 პროცენტული პუნქტით ნაკლებია.

ირაკლი კობახიძემ ანაკლიის პორტის პროექტზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ მისი წარმატებით განხორციელება ქვეყნის ეკონომიკურ ზრდას მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს.

**„დასრულდა კერძო პარტნიორის შერჩევის პროცესი. საბოლოო წინადადება შემოიტანა ჩინურ-სინგაპურულმა კონსორციუმმა, რომელთანაც, შესაბამისი პროცედურების დასრულების შემდეგ, გაფორმდება საპარტნიორო შეთანხმება და დაიდება საკონცესიო ხელშეკრულება. ხელშეკრულების დადების შემდეგ დაფუძნდება ერთობლივი კომპანია, რომელშიც საქართველოს სახელმწიფო კომპანიის წილი იქნება 51%, ხოლო კონსორციუმის – 49%. პარალელურად, უკვე ჩატარდა ტენდერი სამშენებლო სამუშაოებთან დაკავშირებით მსოფლიო ბანკის წესების მიხედვით და ანაკლიის პორტის საზღვაო ინფრასტრუქტურის სამშენებლო სამუშაოები ძალიან მალე დაიწყება. პირველი ფაზის საორიენტაციო საინვესტიციო მოცულობა არის 600 მლნ აშშ დოლარი და ამ ფაზის დასრულების შემდეგ პორტი 600 000 კონტეინერს მიიღებს. ეს არის 7.8 მლნ ტონა ტვირთის გატარების რესურსი. ანაკლიის პორტის პროექტს ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება შუა დერეფნის, საქართველოს დამაკავშირებელი ფუნქციის განვითარების თვალსაზრისით. ჩვენი ქვეყანა ისტორიულად აკავშირებდა ერთმანეთს ევროპასა და აზიას, დასავლეთსა და აღმოსავლეთს; ამ პორტის მშენებლობით, რა თქმა უნდა, ჩვენი ქვეყანა ახალ, განსაკუთრებულ რესურსს შეიძენს“,** – აღნიშნა მთავრობის მეთაურმა.

**ლიბერალური ფაშიზმი არის კლასიკურ ფაშიზმსა და ბოლშევიზმზე არანაკლებ საშიში იდეოლოგია, რომელიც გაუმჭვირვალე ფინანსების მეშვეობით, უკვე წლებია, ხელოვნურად ინერგება ჩვენს ქვეყანაში, საქართველოში. ეს აბსოლუტურად შეუთავსებელია ქართულ კულტურასთან. მინდა, ყველას მოვუწოდო, გაემიჯნონ ლიბერალურ ფაშიზმს, რომელიც ყველაზე დიდ საფრთხეს, პირველ რიგში, მისი მიმდევრების პიროვნულ განვითარებას უქმნის.**

პრემიერ-მინისტრმა ასევე ისაუბრა ჩინეთთან ამოქმედებულ უვიზო რეჟიმზე და აღნიშნა, რომ 30 მაისიდან ჩინეთსა და საქართველოს შორის პირდაპირი ფრენების რაოდენობა გაორმაგდა, რაც ძალიან მნიშვნელოვანია.

**პრემიერ-მინისტრმა** მთავრობის სხდომაზე ქართველ ძიუდოისტებს მსოფლიო ჩემპიონატზე წარმატებული გამოსვლა მიულოცა.

როგორც ირაკლი კობახიძემ აღნიშნა, აბუ-დაბიში გაიმართა მსოფლიო ჩემპიონატი, სადაც ძიუდოისტებმა 2 ოქროს, 1 ვერცხლის და 2 ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს, რაც ძალიან დიდი წარმატებაა.

**„კიდევ ერთხელ ვულოცავ მათ ამ ძალიან მნიშვნელოვან გამარჯვებას. გიორგი სარდალაშვილს და ტატო გრიგალაშვილს ვულოცავ მსოფლიო ჩემპიონობას, ასევე გურამ თუშიშვილს – ვიცე-ჩემპიონობას და ვაჟა მარგველაშვილს – ბრინჯაოს მედალს, პრიზიორობას მსოფლიო ჩემპიონატზე. აგრეთვე ძიუდოისტთა ნაკრებს ვულოცავ ბრინჯაოს პრიზიორობას შერეულ გუნდურ ასპარეზობაში“, – განაცხადა პრემიერმა.**

ირაკლი კობახიძემ საფეხბურთო ნაკრების წევრს ოთარ კიტეიშვილს ავსტრიის ჩემპიონატის წლის საუკეთესო ფეხბურთელის ტიტული მიულოცა.

**„ასევე მინდა, მივულოცო ჩვენი საფეხბურთო ნაკრების წევრს ოთარ კიტეიშვილს ავსტრიის ჩემპიონატის წლის საუკეთესო ფეხბურთელის ტიტული, ავსტრიის ჩემპიონობა არის ძალიან დიდი წარმატება, ვულოცავ ოთარს ამ ძალიან მნიშვნელოვან აღიარებას. ეს ორი კვირაც იყო იმის თვალსაჩინო დასტური, რომ ჩვენი სპორტი არის აღმავლობის გზაზე და ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ მომავალში ჩვენმა სპორტსმენებმა ჩვენს ქვეყანას კიდევ უფრო მეტი წარმატება და გამარჯვება აჩუქონ“...**

* * *

**პრემიერ-მინისტრი** კიდევ ერთხელ გამოეხმაურა გამჭვირვალობის შესახებ კანონთან დაკავშირებით განვითარებულ პროცესებს და აღნიშნა, რომ კანონის მიღებით ქვეყნის სუვერენიტეტმა და უსაფრთხოებამ გაიმარჯვა.

**„გამჭვირვალობის კანონის მიღება არ უნდა განვიხილოთ, როგორც ხელისუფლების გამარჯვება, როგორც ასეთი და არ უნდა განვიხილოთ, არც კანონის ოპონენტების მარცხად, მით უმეტეს, არ შეიძლება, კანონის მიღება განვიხილოთ ჩვენი საერთაშორისო პარტნიორების დამარცხებად, ხშირად ცდილობენ ხოლმე, ასე წარმოაჩინონ ეს ყველაფერი. გამჭვირვალობის შესახებ კანონის მიღებით გაიმარჯვა მხოლოდ საქართველომ, მისმა სუვერენიტეტმა და მისმა უსაფრთხოებამ, შესაბამისად, ამ კანონის მიღებით დამარცხდნენ მხოლოდ ჩვენი ქვეყნის არაკეთილმოსურნეები, ეს ერთმნიშვნელოვნად შეიძლება ითქვას“!..**

ირაკლი კობახიძის შეფასებით, გასული ორი თვის განმავლობაში კანონის შესახებ, სამწუხაროდ, უამრავი დეზინფორმაცია გავრცელდა.

**„იყო ჭარბი ემოციები, რასაც ჰქონდა მხოლოდ და მხოლოდ ხელოვნური საფუძველი, თუმცა ახლა უკვე კანონი ძალაშია და ყველამ უნდა ვიმოქმედოთ პრაგმატულად, ცივი გონებით და გვერდზე უნდა გადავდოთ არასაჭირო ემოციები. ეს განსაკუთრებით ეხება იმ ადამიანებს, რომლებიც ლიბერალურ-ფაშისტური ქმედებებით ცდილობენ, გადაფარონ პროტესტის წარუმატებლობით გამოწვეული იმედგაცრუება. ლიბერალური ფაშიზმი არის კლასიკურ ფაშიზმსა და ბოლშევიზმზე არანაკლებ საშიში იდეოლოგია, რომელიც გაუმჭვირვალე ფინანსების მეშვეობით, უკვე წლებია, ხელოვნურად ინერგება ჩვენს ქვეყანაში, საქართველოში. ეს აბსოლუტურად შეუთავსებელია ქართულ კულტურასთან. მინდა, ყველას მოვუწოდო, გაემიჯნონ ლიბერალურ ფაშიზმს, რომელიც ყველაზე დიდ საფრთხეს, პირველ რიგში, მისი მიმდევრების პიროვნულ განვითარებას უქმნის“, – დასძინა პრემიერმა.**

---

# როცა პარლამენტი სამართლიანი და პრინციპულია!

## „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონი ამოქმედდა



**„უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონი გუშინ ამოქმედდა.** იუსტიციის სამინისტრომ და საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ 60 დღის ვადაში „უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციათა“ რეესტრი უნდა შექმნან. შემდეგ უკვე სპეციალურ ვებ-გვერდზე რეგისტრაცია სავალდებულო ხდება იმ იურიდიული პირებისთვის, რომლებიც შემოსავლის 20-%-ზე მეტს უცხოეთიდან იღებენ. თუ ასეთი ორგანიზაციები ერთი თვის ვადაში ნებაყოფლობით არ დარეგისტრირდებიან, მათ იუსტიციის სამინისტრო დააჯარიმებს და თავად დაარეგისტრირებს.

„მიუხედავად ასეთი დიდი უსამართლო ზეწოლისა, უცხოეთიდან იქნებოდა ეს თუ ადგილობრივი რადიკალური ოპოზიციის მხრიდან, ქართველმა საზოგადოებამ და მისმა არჩეულმა ხელისუფლებამ შეძლო, რომ დანარჩენ მსოფლიო საზოგადოებას დაუმტკიცა ეროვნულობა, სიმტკიცე და თქვა, რომ ის შედგა როგორც დამოუკიდებელი სუვერენული ქვეყანა.

სამოქალაქო სექტორი ამბობს, რომ მას არ სურს, კანონს დაემორჩილოს და ის არ იქნება გამჭვირვალე, ანუ დახარჯავს შავ ფულს. ეს არის ზუსტად იმის მტკიცებულება, რასაც ჩვენ ვამბობდით, რომ უცხოეთიდან შავი ფული ბევრი იხარჯება, რაც ახლა ვეღარ მოხდება“, – აცხადებს საპარლამენტო პოლიტიკური ჯგუფის „ხალხის ძალა“ წევრი გურამ მაჭარაშვილი.

---

## საქართველოში სქესის შეცვლის მიზნით ქირურგიულ ოპერაციას ვერავინ ჩაიტარებს!

*საქართველოში სქესის შეცვლის მიზნით ქირურგიული ოპერაციის ჩატარება ან სხვა სახის სამედიცინო მანიპულაციის გამოყენება კანონით იქნება აკრძალული, – ამის შესახებ პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილმა ბრიფინგზე ისაუბრა.*

*ამასთან, როგორც პაპუაშვილმა განმარტა, აკრძალული იქნება პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტში ან სახელმწიფოს მიერ გაცემულ სხვა დოკუმენტში ადამიანის თავისი სქესისგან განსხვავებული სქესის მითითება.*

---



## გაერთიანებულ სამეფოს საქართველოში ახალი ელჩი ეყოლება

„ამ ზაფხულს გაერთიანებულ სამეფოს საქართველოში ახალი ელჩი ეყოლება. მარკ კლეიტონს გარეთ უორდი რამდენიმე თვეში შეცვლის. საქართველოში ოთხწლიანი მისიის დასრულების შემდეგ, მარკ კლეიტონი საქმიანობას გაერთიანებული სამეფოს დიპლომატიურ სამსახურში სხვა პოზიციაზე განაგრძობს. საქართველოში დიდი ბრიტანეთის ელჩის პოზიციაზე საქმიანობას გარეთ უორდი 2024 წლის აგვისტოდან შეუდგება.

გარეთ ედუარდ უორდი გაერთიანებული სამეფოს დიპლომატიურ სამსახურში 1998 წლიდან მუშაობს.

– **ამის** შესახებ ინფორმაციას საქართველოში დიდი ბრიტანეთის საელჩო ავრცელებს.

# ამერიკელ-ევროპელი ბოზები და მათი ქართველი ქვეწარმავლები – მოუსავლეთისკენ!



**დავით ქართველიშვილი: ჯინ შარფი, აკერმანი, სოროსები, კელი დეგნანი, ო'ბრაიენი, დევიდ კრამერი, ქართველმა ხალხმა ერთ კალათაში მოათავსა და გაუშვა გაურკვეველი მიმართულებით, ხოლო მათ ადგილობრივ ქვეწარმავლებს ასევე მალე მიაცილებს მოუსავლეთისკენ.**

ეროვ საგულისხმოა, როგორ ეხმიანება „ხალხის ძალის" წევრი დავით ქართველიშვილი მმართველი გუნდისთვის სანქციების დაწესების შესახებ ოპოზიციის და არასამთავრობოების მიერ გავრცელებულ ინფორმაციას, რომელიც აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის პრესსპიკერმა მეთიუ მილერმა ბრიფინგზე უარყო.

ქართველიშვილის თქმით, უცხოელებს შეეძლოთ, რადიკალებისთვის „დაცვენილი ნასუფრალის" მიცემის სახით, ხელისუფლებისთვის სანქციები დაეწესებინათ, თუმცა, ჯერჯერობით ამასაც ვერ იმეტებენ. მისივე თქმით, სანქციების გაცვეთილ თემას უკვე მთელი მსოფლიო დასცინის.

*„ბოლოს იტყვიან: „მეილზე არა. წერილობით შეატყობინებენ სანქციების შესახებ. ოღონდ, ვისაც ზუსტად ექნება მითითებული საფოსტო ინდექსი. ვისაც არაზუსტად ექნება, მათი წერილები უკან დაბრუნდება. და მხოლოდ იმათ მიუვა, ვისაც სახლში შემორჩენილი აქვს კორესპონდენციის მისაღები, საბჭოთა დროინდელი „პრარეზიანი" ყუთი წარწერით* – Почта*".*

*ეს ის არაა, თქვენ რომ გგონიათ – იჯდე ფანჯარასთან და მოთმინებით ელოდო, როდის ჩამოატარებს მდინარე შენი მტრის გვამს. ესეც ჩინურია. არა და, რაღაცას მაინც ხომ გადმოუგდებდა ამათ კაცი, სახარებისა არ იყოს: „ძაღლებიც ხომ ჭამენ პატრონის ტაბლიდან დაცვენილ ნასუფრალს". ეს „დაცვენილი ნასუფრალი" კი სანქციებია! მაგრამ ამასაც ვერ იმეტებენ.*

*მთელი მსოფლიო დასცინის უკვე ამ გაცვეთილ თემას. რუსეთის დაქცევა სურდათ სანქციებით – დააქციეს ევროკავშირი, ხოლო რუსეთი და მისი სატელიტები ააყვავეს. სანქციების ქვეშ აქვთ აყვანილი ვენესუელა, რუსეთი, ირანი, ჩრდილოეთ კორეა – ისინი კი ერთმანეთთან ვაჭრობით უსაშველოდ მდიდრდებიან. ხოლო მხიარული „ვარსკვლავთბიჭუნა" კიმ ჩენ ინი კი იმით ერთობა, რომ პერიოდულად ნაგვითა და ფეკალიებით სავსე კალათებს ააფრენს ხოლმე საჰაერო ბუშტებით სამხრეთ კორეის მიმართულებით.*

*ჯინ შარფი, აკერმანი, ჯორჯ და ალექს სოროსები, კელი დეგნანი, ო'ბრაიენი, დევიდ კრამერი და ა.შ. –*




*წარმოიდგინეთ, რომ ქართველმა ხალხმა ესენი ერთ კალათაში მოათავსა და საჰაერო ბუშტით გაუშვა გაურკვეველი მიმართულებით. ხოლო მათ ადგილობრივ ქვეწარმავლებს: „დეკანოიძე-ბიბაური-ლომჯარია-პატარაიებს" აიყვანს მალე "ანტი-ნოეს კიდობანში" და პირველად ცხოვრებაში, მათი მისამართით კეთილი სურვილებით – ასევე მიაცილებს მოუსავლეთისკენ მიმავალ სახალისო მოგზაურობაში, სადაც რომელიღაც ახალი არარატის მწვერვალზე, მათ ტრადიციულად შეხვდებიან ახალი აბორიგენები ძველებური მისალმებით:* „Пап-джан, смотри – опять цирк приехал...



## პეტრე მამრაძე:

# როგორ არ ჰყოფნით თეთრ სახლში ჭკუა, რომ მთელ მსოფლიოში ასე არ აამხედრონ ერები ამერიკელების წინააღმდეგ



**საქართველომ გამოაფხიზლა მთელი მსოფლიო. რაც დრო გადის, სულ უფრო მეტი კონგრესმენი და ევროპელი დეპუტატი ინტერესდება, სად მიედინება ამერიკელი და ევროპელი გადასახადების გადამხდელების თანხები და რატომ ხმარდება განვითარებად ქვეყნებში საეჭვო მიზნების მქონე არასამთავრობოებს, რომლებიც ათეიზმსა და ლგბტ პროპაგანდას ავრცელებენ?!**

სულ ბოლოს ამ კითხვით კონგრესმენი ბრაიან მასტი დაინტერესდა, რომელმაც აშშ-ის სახელმწიფო მდივან ენტონი ბლინკენს მიმართა, რომ სააგენტოები და ენჯეოები იღებენ გრანტებს მთელი მსოფლიოს მასშტაბით და არავინ იცის, რაში იხარჯება ეს ფული.

**„თქვენ ნამდვილად არ იცით, სად მიდის ამერიკული ფული საზღვარგარეთ, მაგალითად, ნეპალში ათეიზმის გავრცელებისთვის ნახევარი მილიონი დოლარის გრანტი გაიცა"**, – აცხადებს კონგრესმენი.

პარალელურად, ესტონელი დეპუტატი ვარო ვუგლაიდი პრემიერ-მინისტრ კაია კალასს მიმართავს და ინტერესდება, რატომ იქმნება პრობლემა საქართველოში მიღებულ კანონთან დაკავშირებით, მაშინ, როცა „გამჭვირვალობის კანონის" მიღება შეიძლება აშშ-ში? რატომ ეწინააღმდეგება ეს კანონი ევროკავშირის პრინციპებს?

**„ჯერ კიდევ არ მესმის, რა პრობლემაა საქართველოში მიღებულ კანონთან დაკავშირებით. აშშ-ს აქვს უცხოური აგენტების რეგისტრაციის აქტი, რომლის მიხედვითაც ორგანიზაციები, რომლებიც იღებენ დაფინანსებას საზღვარგარეთიდან, უნდა დარეგისტრირდნენ. რატომ შეიძლება ასეთი კანონის მიღება აშშ-ში, მაგრამ არა საქართველოში? როგორ ეწინააღმდეგება ეს კანონი ევროკავშირის პრინციპებს?" -** აინტერესებს ესტონელ დეპუტატს.

საინტერესოა, რომ ვარო ვუგლაიდი ოჯახისა და ტრადიციის დაცვის ფონდის ერთ-ერთი დამფუძნებელია. ფონდი თავის მიზნად ისახავს, ევროპის ქრისტიანული კულტურული მემკვიდრეობის და მისგან გამომდინარე ტრადიციული სოციალური წესრიგის დაცვას.

**თუკი ამერიკელი და ევროპელი გადამხდელები გააპროტესტებენ მათ მიერ გადახდილი თანხების სხვა ქვეყნებში გადინებას და იტყვიან, ნუ მიდის ჩვენი ფული საზღვარგარეთ საეჭვო მიზნებისთვის, მაშინ რა ბედი ელით უფულოდ დარჩენილ ჩვენს ენჯეოებს?**

**„მართვის სტრატეგიული ინსტიტუტის"** ხელმძღვანელი **პეტრე მამრაძე** აცხადებს, რომ რაღაც ფონდები და ადამიანები ყოველთვის გამოიძებნებიან, რომლებიც აფინანსებენ ენჯეოებს. რაც შეეხება ლგბტ ცხოვრების წესის პროპაგანდას, პეტრე მამრაძე ამბობს, რომ საკმაოდ გავლენიანი და მდიდარი ადამიანები არიან მსოფლიოში, რომლებიც თავიანთ ქვეყანაშიც აფინანსებენ ლგბტ პროპაგანდას და სხვა ქვეყანაშიც დააფინანსებენ ამავე მიმართულებას.



**„ნეპალი ახსენეს და სამართლიანადაც, ვინმემ თუ იცის, რომ ავღანეთში, ქაბულში, ამერიკის საელჩოს შენობა 17 მაისს თავიდან ბოლომდე ლგბტ ფერებით შეიმოსა. ამის გამო გამოცდილმა ამერიკელმა ექსპერტებმა თქვეს, ამიერიდან ჩართეთ საათი, როდის აიღებენ შტურმით თალიბები ამ შენობას. მართლაც, ამის შემდეგ ორი-სამი თვე გავიდა და თალიბებმა აიღეს შენობა. მე არ ვამბობ, რომ ზუსტად ლგბტ პროპაგანდის გამო აიღეს, მაგრამ ხომ არის ბოლო წვეთი, რასაც ხალხი ვერ მოითმენს?! თანაც, ავღანელები არ არის ახლადგამოჩეკილი ერი, ეს არის უძველესი ხალხი თავისი წეს-ჩვეულებებით, ტრადიციებით, ყოფაცხოვრებით. ამერიკაშიც ბევრი მოქალაქეა, რომელიც ლგბტ პროპაგანდას კატეგორიულად ეწინააღმდეგება. მომისმენია საქართველოში ჩამოსული შესანიშნავი ამერიკელი მეცნიერების აზრი, რომლებიც აპროტესტებდნენ ამერიკის საელჩოს ქმედებებს სხვადასხვა ქვეყნებში.**

**ამის საწინააღმდეგოდ, ამერიკის მაშინდელი ელჩი იან კელი იმპერატიულად, მოკარნახის ტონით ამბობდა, დიახ, თქვენ უნდა ჩაატაროთ ლგბტ პრაიდი, ეს პარადი უნდა ჩატარდეს თბილისშიც, ქუთაისშიც, ბათუმშიც, სხვა ქალაქებშიც. ამის მოსმენის შემდეგ ამერიკელმა მეცნიერმა მითხრა, როდესაც ამერიკის ელჩი რომელიმე ქვეყანაში ამბობს, რომ უნდა ჩაატაროთ პრაიდი, ეს გაცილებით მეტ ანტიამერიკულ განწყობას ბადებს, ვიდრე კრემლის პროპაგანდა მთელი წლის განმავლობაში. კრემლმა 10 მილიონი დოლარიც რომ დახარჯოს ანტიამერიკულ პროპაგანდაზე, ამაზე მეტია ელჩების მხრიდან გაკეთებული არასწორი განცხადებები. როგორ არ ჰყოფნით ამ დალოცვილებს თეთრ სახლში ჭკუა, რომ მთელ მსოფლიოში ასე არ აამხედრონ ერები, ხალხები ამერიკელების საწინააღმდეგოდ"**, – აღნიშნა პეტრე მამრაძემ.

მისივე თქმით, ნეპალში ათეიზმის გავრცელებას ცდილობენ, საქართველოშიც გვეცნობა ეს სცენარი, როცა დადგა მაიკლ როთი ტრიბუნასთან, რუსთაველის გამზირზე გამართულ მიტინგზე და თქვა, თქვენი ეკლესია შეკრულია ხელისუფლებასთან, ეს საქართველოს კარგს არაფერს მოუტანსო. პეტრე მამრაძე ამბობს, რომ სულ არ აინტერესებს მაიკლ როთის ორიენტაცია, რადგან იცის, რომ მაიკლ როთი გეია, როცა მინისტრი იყო, შეხვედრია კიდეც, მაგრამ მაიკ როთმა უნდა იცოდეს, როგორ მიიღებს მის ამ ნათქვამს საქართველოს მოსახლეობა, რომლის 90% მართლმადიდებელია რწმენით თუ არა, კულტურით მაინც".

მოამზადა
**მანანა ნოზაძემ**

# ოთარ შენგელია – სამართალმცოდნე, პოლიტიკოსი, საზოგადო მოღვაწე

## მოგითხრობთ ღირსეულ მამულიშვილებზე

**რა ბედნიერებაა. როცა ჩვენ გვერდით არსებობენ ზნეობრივი მაგალითები, პიროვნული სისპეტაკითა და პროფესიული პასუხისმგებლობით რომ იქცევენ საზოგადოების ყურადღებას. ასეთი ზნეობრივი მაგალითი გახლავთ ჩვენი თანაქალაქელი, შთამბეჭდავი ბიოგრაფიის მქონე პროფესიონალი, სამართალმცოდნე, პოლიტიკოსი და საზოგადო მოღვაწე ოთარ შენგელია, რომელმაც დამსახურებულად მოიპოვა ღირსეული მამულიშვილის საპატიო სახელი.**

ოთარ შენგელია დაიბადა 1947 წლის 28 მარტს, წყალტუბოს რაიონის სოფელ პატრიკეთში, მოსამსახურის ოჯახში. 1965 წელს დაამთავრა სოფელ გეგუთის საშუალო სკოლა, ხოლო 1972 წელს – თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, სამართალმცოდნეობის სპეციალობით. იმის გათვალისწინებით, რომ იმ ეპოქაში იურიდიული განათლების მქონე პირი გამომძიებლად ვერ იმუშავებდა, ერთწლიანი სტაჟირება მაინც თუ არ ექნებოდა გავლილი, ოთარ შენგელიამ თბილისის მილიციის სამმართველოს საგამოძიებო განყოფილებაში დაიწყო მუშაობა გამომძიებლის თანაშემწედ, სადაც მაქსიმალურად გამოავლინა თავისი შესაძლებლობები. იყო საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის შტატგარეშე ინსტრუქტორი. 1973-1974 წლებში მუშაობდა წყალტუბოს რაიონული აღმასკომის სოფლის მეურნეობის სამმართველოს იურიდიული ჯგუფის უფროსად, შემდეგ კი – რაიკომის ინსტრუქტორად და განყოფილების გამგედ. 1979 წელს აირჩიეს ქუთაისის ლენინის რაიონის მოსამართლედ. 1982-1991 წლებში მუშაობდა წყალტუბოს რაიონული სასამართლოს თავმჯდომარედ. 1992 წელს დაინიშნა წყალტუბოს რაიონის გამგებლად, 1993 წელს კი – კონტროლის პალატის თავმჯდომარედ.

1995 წელს ოთარ შენგელია აირჩიეს საქართველოს პარლამენტის წევრად. იყო მეორე მოწვევის პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის სასამართლოს რეფორმის ქვეკომიტეტის თავმჯდომარე. 1997 წელს, ორ კოლეგა პარლამენტართან – თენგიზ შარმანაშვილთან და მიხეილ საакაშვილთან ერთად, აირჩიეს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრად.

საგულისყუროა ის ფაქტიც, რომ საერთო სასამართლოების კანონზე მუშაობისას მივლინებით იმყოფებოდა ბონისა და პარიზის შესაბამის უწყებებში.

1999 წელს, პრეზიდენტის ბრძანებულებით, დაინიშნა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლედ, შემდეგ კი იყო ამავე სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლის პალატის თავმჯდომარე და ქუთაისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე.

**არავის ჰყავს ქვეყნად იმდენი მოშურნე, რამდენიც სიმართლისა და სიმაღლის მოტრფიალესო, წერს ოტია იოსელიანი მოთხრობაში „ხარჯიხვი“. ვინც ოთარ შენგელიას იცნობს, ისიც უთუოდ ეცოდინება, რომ იგი არასოდეს დაექვემდებარებოდა პარტიულ კონიუნქტურას და მხოლოდ კანონს ემორჩილებოდა, იყო მხოლოდ სამართლიანი, არასოდეს წასულა სინდისთან კომპრომისზე, ამიტომ მოხვდა არასასურველი მოსამართლეების კატეგორიაში. ამ მოსაზრების სასარგებლოდ შეიძლება ითქვას, რომ იგი 18 თვის განმავლობაში იყო ქუთაისის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი, ხოლო მას შემდეგ, რაც რეორგანიზაციის საბაბით საოლქო სასამართლო სააპელაციო სასამართლოდ გადააკეთეს, 59 წლის, მაღალკვალიფიციური მოსამართლე პენსიაში გაუშვეს, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე.**

„ცოტას მცოდნენი ბევრს ლაპარაკობენ, ბევრის მცოდნენი კი – ცოტას“, ამბობს ჟან-ჟაკ რუსო. იმ ხელმოცარული პოლიტიკოსებისგან განსხვავებით, ენა ხაოიანი პირსახოცივით მხარზე რომ აქვთ გადაკიდებული და უსაგნოდ ყბედობენ, ბატონი ოთარი ზომიერად თავშეკავებულია გარდასულ მოვლენათა შეფასებაში. მან, ცხადია, იცის იმ ახალბედა რეფორმატორების გვარ-სახელები, რომლებიც ყველა შესაძლო გზით ცდილობდნენ სასამართლო სისტემიდან მის ჩამოშორებას და პრივატულ საუბარში შევხებივართ კიდეც ამ უსიამოვნო თემას, მაგრამ ამჯერად თავს შევიკავებთ მათი გასაჯაროებისგან, ეთიკური მოსაზრებით.

უმწიკვლო რეპუტაციის მქონე მოსამართლის მიმართ გამოვლენილმა ასეთმა უდიერმა მოპყრობამ უნებლიეთ გამახსენა მორის ფოცხიშვილისადმი მიძღვნილი ჯანსუღ ჩარკვიანის ლექსი, რომელიც შეგვიძლია, მტკიცე ხასიათის ნებისმიერ მაღალპროფესიონალს მიესადაგოს:

**„ღმერთი და ღმერთივით კაცები,**
**სად და ვის ყვარებია, მორის,**
**ღმერთის და ღმერთივით კაცების,**
**შიში აქვთ, უპირველეს ყოვლის“.**

მიუხედავად იმისა, რომ სამსახურებრივ საკითხებზე სიღრმისეული საუბარი ბატონ ოთართან არ მქონია, დარწმუნებული ვარ, მისი სამოქმედო პრინციპი ემანუელ კანტის ფილოსოფიურ დოქტრინაზე იქნებოდა დაფუძნებული, რომლის მიხედვით, „სამართალი კი არ უნდა შეეხამოს პოლიტიკას, არამედ პოლიტიკა – სამართალს. ყოველმა პოლიტიკოსმა მუხლი უნდა მოიყაროს სამართლის წინაშე!“



ოთარ შენგელიას პრინციპულობის საილუსტრაციოდ, საკმარისია გავიხსენოთ სამი რეზონანსული საქმე, რომლებმაც ფართო საზოგადოების ინტერესი გამოიწვია. კერძოდ, საქმის არსებითი განხილვის შედეგად, ბატონმა ოთარმა უდანაშაულოდ ცნო და სასამართლო დარბაზიდან გაანთავისუფლა ოცი თვის პატიმრობაში მყოფი 22 წლის ახალგაზრდა ქალი, რაც პრეცედენტულად შეგვიძლია მივიჩნიოთ, ქართულ მართლმსაჯულებაში. ასევე რეზონანსული იყო ზუგდიდის ბაზრისა და ქუთაისის საავიაციო ქარხნის საქმეები, რომლებიც განსაკუთრებულ მიდგომას საჭიროებდნენ.

**2014 წელს, როცა „ქართულმა ოცნებამ“ კვალიფიციური კადრები მოისაკლისა, ოთარ შენგელია წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრად აირჩიეს და საკურატოროდ ყველაზე საჭირბოროტო – ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისია ჩააბარეს.**

**რაც შეეხება ბატონი ოთარის სამოქალაქო აქტივობას, საკმარისია ითქვას, რომ იგი გახლავთ საზოგადოება „ძველი წყალტუბოელების“ ერთ-ერთი დამფუძნებელი და არაერთი სასიკეთო ინიციატივის სულის ჩამდგმელი, ბატონ გელა ხუნწარიძესთან ერთად.**

საქმემან შენმან გამოგაჩინოსო, ამბობს ქართველი კაცი, მაგრამ გაცილებით უკეთესია, საქმესთან ერთად, საქციელითაც თუ იქნება ადამიანი გამოჩენილი და სხვათაგან გამორჩეული. საკვანძო თანამდებობებზე მრავალწლიანი მუშაობის მიუხედავად, ოთარ შენგელია საკმაოდ მოკრძალებულად ცხოვრობს ოროთახიან ბინაში და, რაც უნდა უჩვეულოდ მოეჩვენოს ვინმეს, 25-წლიანი „ოპელის“ მარკის ავტომობილით გადაადგილდება ქალაქის ქუჩებში.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ ოთარ შენგელია იმ ოჯახის ღირსეული წარმომადგენელია, სადაც პატივს მიაგებენ ეროვნულ ტრადიციებს და თვალის ჩინივით უფრთხილდებიან მშობლიურ ენას, რაც მისი მეუღლის, ქალბატონი ნარგიზა ჯიქიას დამსახურებაც გახლავთ, რომელიც პროფესიით ექიმი-კარდიოლოგია, მაგრამ ყველა სასიკეთო საქმის თანაავტორია ბატონ ოთართან ერთად.

მშობლებისთვის იმაზე დიდი ბედნიერება რა უნდა იყოს, როცა შვილები იმედებს გაუმართლებენ და მათ მიერ გაკვალული ბილიკებით გავლენ ცხოვრების ფართო შარაგზაზე. შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ ამ მხრივაც შენგელიების ოჯახს ძალიან გაუმართლა, რადგან უფროსი ვაჟი – აკაკი დედის პროფესიას დაეუფლა და ექიმი-კარდიოლოგი გახდა, ცხოვრობს კიევში უკრაინელ მეუღლესთან ერთად, უმცროსმა ოთარმა კი მამის პროფესია აირჩია და ერთ-ერთი წარმატებული იურისტია საბანკო სექტორში.

მინდა, მჯეროდეს, რომ ასეთი ოჯახური ჰარმონია კეთილისმყოფელ გავლენას მოახდენს ბატონი ოთარის შვილიშვილებზე და კესო და კატო, რომლებიც ამჟამად სკოლის მოსწავლეები არიან, საპატიო ადგილს დაიკავებენ შენგელიების საგვარეულო გენეალოგიაში.

დღეს კაცზე კაცი ვეღარ გვითქვამს, წინ თუ „კაცური“ არ დავურთეთო, წუხდა ილია ჭავჭავაძე. მე შევეცადე, დამეხატა სიტყვიერი პორტრეტი მაღალზნეობრივი ადამიანისა, რომლის გვარ-სახელი არავითარ თავსართს არ საჭიროებს, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ კაცობის გამოცდა არაერთგზის აქვს წარმატებით ჩაბარებული, საკმაოდ ხანგრძლივი ცხოვრების ყველა ეტაპზე.

ასაკი მხოლოდ ციფრებიაო, ამბობენ ოპტიმისტები. მიუხედავად იმისა, რომ ორი შვიდიანი უკან მოიტოვა, ოთარ შენგელიას აქვს რესურსი, კვლავაც ჩვეული ერთგულებით ემსახუროს მშობელ ქვეყანას, რომელიც მისთვის სალოცავი ხატი იყო მთელი შეგნებული ცხოვრების მანძილზე.

**P.S. რომელი ნიუტონი, ედისონი ან ალექსანდრე ფლემინგი მე ვარ, სენსაციური აღმოჩენები რომ გავაკეთო, თუმცა, რაღაც ამის მსგავსის მოწმე ნამდვილად გავხდი. წერილზე მუშაობის პროცესში დავადგინე, რომ ოთარ შენგელია წყალტუბოს საპატიო მოქალაქე არ ყოფილა, რამაც ძალიან გამაკვირვა.**

**კი მაგრამ, მაინც რომელ კრიტერიუმებს ვერ აკმაყოფილებს, ბატონი ოთარი?**

**თეიმურაზ ჯანელიძე,**
**გაზეთ „ახალი წყალტუბოს“ საზოგადოებასთან ურთიერთობის კოორდინატორი.**

### ვიქტორ სანიკიძე:

# გულანთებული ახალგაზრდების სახელით მოქმედებენ, მაგრამ...



**გულანთებული ახალგაზრდების სახელით მოქმედებენ, მაგრამ მოკვლევის შემდეგ ამა თუ იმ პარტიის წარმომადგენლები აღმოჩნდებიან ხოლმე, ჩვენზე ამ ყველაფერს გავლენა არ აქვს, – ამის შესახებ საპარლამენტო უმრავლესობის დეპუტატმა, ვიქტორ სანიკიძემ განაცხადა.**

ვიქტორ სანიკიძემ კომენტარი გააკეთა ვაკის პარკში გუშინ მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით.

„რობოტებივით დგანან და იმეორებენ – „რუსული კანონი“. ვიკითხე, რატომ იყო „რუსული კანონი“, რაზეც ცნობილი პასუხი მივიღე – „იმიტომ“! რამდენადაც დიალოგში შევდივართ, არგუმენტებს ვითხოვთ, იხლართებიან და ტყუილებს გვპასუხობენ. ჩემს შემთხვევაში, ეს ქალბატონი ჭიჭე ვაშაძის პარტიის წევრია და თუ ეს არ უქმნის უხერხულობას, არც ამ საქციელზე ექნება განსხვავებული სენტიმენტები. ვითომ ეს ხალხი გულანთებული ახალგაზრდების სახელით მოქმედებენ, მაგრამ მოკვლევის შემდეგ ამა თუ იმ პარტიის წარმომადგენლები აღმოჩნდებიან. თავად იფუჭებენ საქმეს. კარგია, ასე გააგრძელონ, საზოგადოება საკადრის პასუხებს გასცემს. ჩვენზე ამ ყველაფერს გავლენა არ აქვს და უნდა ვამხილოთ, ეს „გულანთებული ახალგაზრდები“ რას და ვის წარმოადგენენ“, – დასძინა ვიქტორ სანიკიძემ.



# „თუ ღვინომ ყანწი ველარ გაავსო, ცრემლით ავავსებ თქვენს სადღეგრძელოს“...




**დიდი სახალხო ზეიმით გააცილა წლევანდელი წვიმიანი გაზაფხული საგარეჯოს რაიონის მშვენიერმა სოფელმა პატარძეულმა – ადგილობრივი მკვიდრებითა და ჩამოსული სტუმრებით, ყველა თაობის, მეტადრე ახალგაზრდებით სავსე ლეონიძეების ხასხასა კარ-მიდამოში დიდი აღმავლობით ჩატარდა ტრადიციული გოგლაობა.**

**წლეულს, დეკემბრის მიწურულს, მე-20 საუკუნის ქართული ლიტერატურის ერთ-ერთი ბურჯის გიორგი (გოგლა) ლეონიძის დაბადებიდან 125 წელი სრულდება, ამდენად სტუმარ-მასპინძელთა ერთობლივ მხიარულ განწყობას ამ თარიღის მაგიურობის ელფერიც სდევდა, რამაც ზეიმს კიდევ უფრო მეტი ლაზათი შემატა.**

**„დავიბადე გარე-კახეთში, ჩემი სამშობლო სოფელი პატარძეული, მართლაც, ივრის ხეობის თვალია: მაღალი მდებარეობა, საღი ჰავა, მშვენიერი წყაროები, განთქმულია მისი გემრიელი პური,“** – ასე ხატავს ამქვეყნად თავის მოვლენის ადგილს დიდი მწერალი და ლეონიძეთა სამკვიდრო სახლიცა და ეზოც ამ მშვენიერებით გაჯერებულ სურათს სავსებით ესადაგება. აივნიანი სახლის მეორე სართულზე ასასვლელ კიბესთან დიდებული უზარმაზარი ბროწეულის ხე კი, ულამაზესი სისხლისფერი ყვავილებით შეფაკლული, ხასხასა მწვანეთი შემოსილი, გოგლასეული „ნატვრის ხის“ ძეგლივითაა აღმართული...

მეორე სართულზე ასულებს, ცნობილ ქართველ მეწარმესა და სახელოვან ქველმოქმედს, უმაღლეს პოლიგრაფიულ დონეზე დასტამბული შესანიშნავი წიგნის „გიორგი ლეონიძის“ გამოცემის იდეის ავტორსა და სულისჩამდგმელს, ბატონ **ვახტანგ ვეფხვაძეს** და ამ სტრიქონების ავტორს, პირველივე ოთახში, პოეტის დიდებული პორტრეტის წინ ჩამწკრივებული, მისი სამი უკვდავი გმირი – მშვენიერი მარიტა, სიყვარულით გაცისკროვნებული გედია და წუთისოფლის არარაობის „მკურნალი“ ფუფალა შემოგვეგება... გოგლა ლეონიძის სახლ-მუზეუმის დირექტორისგან, ქალბატონ **დარეჯან ლეონიძისგან**, რომელიც თან ამ საამაყო გვარის რძალიც გახლავთ, შევიტყვეთ, რომ „ნატვრის ხის“ გმირების გამოსახულებები საგარეჯოს თოჯინების სახალხო თეატრის ხელმძღვანელის, ქალბატონ **მარინა შიოშვილის** ნახელავი ყოფილა.

ოდნავ მოგვიანებით კი ცნობილი დაგლეჯილ-დაძონძილი ქოლგით გაკოხტავებული „ცოცხალი ფუფალა“ თავადაც მოვიდა ჩვენთან და მყუდროდ დაჩრდილულ ეზოში მყოფ სხვა სტუმრებთან, სიყვარულით მოგვიკითხა და ყოველივე სიკეთე გვისურვა...

აქვე აუცილებლად უნდა აღვნიშნო ერთი მეტად სასიხარულო ამბავი: როგორც ქალბატონმა დარეჯან ლეონიძემ გვითხრა. ახლო მომავალში, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯით, მოხდება სახლ-მუზეუმის რესტავრაცია, რაც 2007 წელს შესაკეთებელი სამუშაოების ჩატარების შემდეგ არ განხორციელებულა. ეს საპატიო მისია კი მოკლე დროში გამოსაცხადებელ ტენდერში გამარჯვებული პროექტის ავტორს დაეკისრება.



**ახალი ექსპონატები გოგლას მუზეუმში (მარიტა, გედია, ფუფალა)**

წეღანაც ვთქვი, რომ გოგლაობის ზეიმზე დამსწრეთა შორის ყველა თაობის მრავალი წარმომადგენელი ბრძანდებოდა, თუმცა კი საზოგადოების ასაკოვანი „შემადგენლობის“ ერთი უაღრესად საგულისხმო ნიშანი ბატონმა ვახტანგ ვეფხვაძემ განსაკუთრებულად აღნიშნა: „იცი, რა მიხარია ყველაზე მეტად? აი, ამდენი ბავშვი და მოზარდი რომაა აქ მოსული! ამაზე უკეთესი განა შეიძლება რამე იყოს?! თან რა ლამაზები არიან ყველანი!“ ნამდვილად ასე იყო, მართალი ბრძანა ბატონმა ვახტანგმა და მის ამ სიტყვებს სიამოვნებით მინდა დავამატო პატარძეულის გიორგი ლეონიძის სახელობის საჯარო სკოლის დირექტორის, ქალბატონ **ნინო ბურდიაშვილის** გულიანი ნათქვამი: „ყველა პატარძეულელი, დიდი თუ პატარა, არის გიორგი ლეონიძის პრემიის ლაურეატი!“

გოგლაობის დღესასწაულის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მდგენელი ქალბატონ ნინო ბურდიაშვილის აღსაზრდელთა მიერ მომზადებული ვრცელი ლიტერატურულ-მუსიკალური კომპოზიცია იყო და ძნელი მისახვედრი არაა, რომ წამყვანი როლი მასში გოგლა ლეონიძის გმირებს, მის უძვირფასეს ნააზრევს ეკავა.

საზეიმო წარმოდგენისა და დამსწრეთა გამოსვლების დაწყებამდე, სახელდახელო ინტერვიუ ვთხოვე ცნობილ ლიტერატორს ბატონ **ზაალ გოტკოველს**:

„125 წელი გასულა უკვე, რაც საქართველოს მოევლინა კიდევ ერთი დიდებული მგოსანი და არა მარტო პოეტი, არამედ პროზაიკოსი, მოაზროვნე, ქვეყნის გულანთებული ღვიძლი შვილი, მისი პატრიოტი – გოგლა ლეონიძე! ყველაფერს თავი რომ დავანებოთ და თუნდაც ერთი წამით წარმოვიდგინოთ, რომ მას სხვა არაფერი დაეწერა და მარტო „ოლეს“, ამ უბრწყინვალესი პოეტური ქმნილების ავტორად დარჩენილიყო, მისი სახელი მაინც ოქროს ასოებით ჩაიწერებოდა არა მარტო ქართული, არამედ მსოფლიო პოეზიის ანთოლოგიაში! „ოლე“ არის გახლეჩილი, უდიდეს გაჭირვებაში ჩავარდნილი, მაგრამ მაინც ქედმოუხრელი და წელში გაუტეხავი საქართველოს სადიდებელი ჰიმნი! ჩვენ კი ღმერთს მადლობა უნდა შევწიროთ, რომ ასეთი ბუმბერაზის თანამემამულეები ვართ!“



**მარცხნიდან: ოთარ ფალიანი, ვახტანგ ვეფხვაძე, გიორგი გვინჩიძე, დარეჯან ლეონიძე, ქეთევან შენგელია, ოთარ ტურაბელიძე.**

გოგლაობაზე გამართული ზეიმის მთავარი ძარღვი, როგორც აღვნიშნე, პატარძეულის საჯარო სკოლის მოსწავლეთა შესრულებით შემდგარი ლიტერატურულ-მუსიკალური კომპოზიციის ნომრები გახლდათ, რომლებიც გაჯერებული იყო როგორც თავად პატარძეულისა და საგარეჯოს წარჩინებული წარმომადგენლების, ისე თბილისიდან და საქართველოს სხვა მხარეებიდან ჩამოსული სტუმრების მეტად გულთბილი, შთამბეჭდავი გამოსვლებით.

„გიორგი ლეონიძე – მთელი დიდი ქართული კულტურის სიამაყეა, – თქვა ექსკლუზიურ ინტერვიუში პოეტმა და ლიტერატორმა ქალბატონ **ქეთევან შენგელიამ**. – იგი კლასიკოსია, მისი უამრავი ლექსი ანთოლოგიური ხასიათისაა. საგულისხმოა ისიც, რომ ამ დონის პოეტმა შესანიშნავი პროზაც შექმნა – მისი ნოველების კრებული „ნატვრის ხე“ ჭეშმარიტად უკვდავი ნაწარმოებია. გასაოცარია გიორგი ლეონიძის მსოფლმხედველობა: მისი ერთ-ერთი გამორჩეული ლიტერატურული პერსონაჟი ელიოზი კვდება ნატვრის ხის ძებნაში, რომელსაც თითქოს ვერ პოულობს, მაგრამ სინამდვილეში იგი აგნებს მას, ვინაიდან ამიერ ქვეყანას იმედით ტოვებს. ხოლო როცა კი კაცი წუთისოფლიდან უიმედოდ მიდის, ეს დამარცხებას ნიშნავს. გიორგი ლეონიძის ნაწარმოებებში – ლექსი იქნება ეს თუ მოთხრობა, თითქმის ყველა გმირი სიყვარულით, იმედითა და სიცოცხლითაა აღსავსე – აი, ესაა მთავარი. და თუკი მარიტა იღუპება ტრაგიკულად, ისიც სიყვარულს ეწირება, ხალხი კი, სამწუხაროდ, არც ამის შემდეგ მოდის გონს, ადამიანებამდე არ დადის იმის შეგნება, რომ ბოროტების ჩადენა არაფრით არ შეიძლება.

გიორგი ლეონიძე იყო ენერგიით აღსავსე პოეტი, ცისფერყანწელთა ყველაზე უმცროსი წარმომადგენელი. 1910-40-იან წლებში, შემდგომაც, საქართველოში არ გამოდიოდა მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი ჟურნალი თუ გაზეთი, რომელთა ავტორთა შორის გიორგი ლეონიძე არ ყოფილიყო. სიცოცხლის ბოლო წლებში იგი შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტს ხელმძღვანელობდა, სადაც დაუღალავად, დღენიადაგ სამამულო ლიტერატურის სამსახურში იყო. პოეტის სახელი სამარადჟამოდ დარჩება ქართული ლიტერატურის ისტორიაში, ვისი შემოქმედებაც იყო უდიდესი ლიტერატურული მოვლენა. განსაკუთრებულია მისი მხატვრული ტექსტი, მხატვრული სახეები გამორჩეულია როგორც ენერგეტიკული, ისე რიტმული თვალსაზრისით. ამით ლეონიძის ადგილი სამამულო ლიტერატურაში სრულიად უნიკალურია და ამაში მას ვერავინ შეეცილება.“

* * *

**მოკლედ** რომ გადმოგცეთ საკუთარი შთაბეჭდილება, რომელიც გოგლაობის სახალხო დღესასწაულზე მივიღე, ეს იყო დაუვიწყარი შეხვედრებისა და ბევრი გამორჩეულად აღსანიშნავი ამბის შეტყობის დღე, რომელთა შესახებ ლაპარაკი იქნებ სხვა დროს შევძლო, თუმცა ერთის შესახებ კი აუცილებლად უნდა გიამბოთ, პატივცემულო მკითხველო:

განთქმული ფირმის „კახური ტრადიციული მეღვინეობის“ („ასკანელის“) ერთ-ერთი თავკაცის, ბატონ **ზურაბ ჩხაიძის** ერთ კეთილშობილურ საქციელზე მინდა გავამახვილო ყურადღება. თავის დროზე, ერთ-ერთი საიუბილეო თარიღის აღსანიშნავად, ბატონ გოგლა ლეონიძისთვის ჯიხვის რქის წყვილი ულამაზესი ყანწი მიურთმევიათ, რომელთა კვალი შემდგომ ოჯახს დაეკარგა. ზედდატანილი წარწერების წყალობით, ბატონ ზურაბ ჩხაიძეს ამ ყანწებისთვის მიუგნია, ახალი პატრონისგან გამოუსყიდია და პოეტის სახლ-მუზეუმისთვის ძღვენად გადაუცია.

დიდი მადლობა, ბატონო ზურაბ!

ბოლოს კი გოგლაობის სახალხო ზეიმის ამბავი გიორგი ლეონიძის შვილიშვილთან ბატონ **გიორგი გვინჩიძესთან** მოკლე საუბრის გადმოცემით მინდა დავასრულო:

„ძალიან სასიამოვნოა, რომ დღევანდელი დღე, ანუ გიორგი ლეონიძის დაბადებიდან 125 წლისთავი, რომელიც ცოტა მოგვიანებით, დეკემბერში აღინიშნება, მის მშობლიურ სოფელში პატარძეულში სწორედ ახლა, 2024 წლის გოგლაობაზე ვიზეიმეთ.

პაპამ, რაც შეძლო გააკეთა – მისი ცხოვრების მთავარი მიზანი სამშობლოს მსახურება იყო და ეს აასრულა კიდეც. მე მას უდიდეს პატივს ვცემ არა მხოლოდ იმის გამო, რომ მისი შთამომავალი ვარ, არამედ იმიტომაც, რომ მისი უპირველესი ხატი და სალოცავი სამშობლო იყო. თუკი არა მარტო პატარძეულელები და საგარეჯოელები, ანდა საერთოდ კახელები, არამედ მთელი საქართველოს ახალგაზრდები, ვინც ახლო მომავალში უნდა ჩაუდგნენ ქვეყანას სათავეში, ისეთ ადამიანებს მიბაძავენ, როგორიც გოგლა ლეონიძე იყო, ეს ჩვენი ერისთვის უდიდესი სიკეთის მომტანი იქნება. და როცა ლეონიძის კარ-მიდამოში ამდენ გულანთებულ და თვალმომღიმარე გოგო-ბიჭს ვხედავ, გული სიხარულით მაქვს სავსე!“

**ოთარ ტურაბელიძე,**
პატარძეული – თბილისი

# საფრანგეთში, „ძმობის დღესასწაულზე“...



**25 მაისს** პატივი მერგო, მონაწილეობა მიმეღო საფრანგეთში ნორმანდიის რეგიონის ქალაქ ევროში გამართულ მულტიკულტურულ ღონისძიებაში, საქართველოს სახელით.

ქალაქის მერიის მიერ ორგანიზებულ „ძმობის დღესასწაულზე“ მონაწილეობდა 40-ზე მეტი ქვეყნის წარმომადგენელი მსოფლიოს ხუთივე კონტინენტიდან.

საქართველოსთვის გამოყოფილ პავილიონში შესაძლებელი იყო ქართული სიმბოლური ელემენტებით გაჯერებული ნამუშევრების დათვალიერება და ქართული კერძების დაგემოვნება. საფრანგეთში მოღვაწე ქართველმა პროფესიონალმა მოცეკვავეებმა უმშვენიერესი ქართული ცეკვით მოხიბლეს დამთვალიერებლები. „მთიულურით“, ქართული სიმბოლიზმით და ტრადიციული კერძებით აღფრთოვანებულთა ტალღა მთელი დღის განმავლობაში არ წყდებოდა საქართველოს კუთხესთან.





ძალიან დიდი მადლობა მინდა გადავუხადო დამსწრე საზოგადოებას და ჩვენს ქართველ მეგობრებს ამ დღის ორგანიზებასა და საქართველოს ღირსეულად წარმოჩენაში. განსაკუთრებული მადლობა უჩა ზაკურაძეს და მის მეუღლეს, რომლებმაც დაუღალავი და უანგარო შრომა ჩადეს ამ დღის საუკეთესოდ წარმართვაში.

მნახველები არ აკლდა მხატვარ მერაბ კანკაძის ხის ორიგინალურ კომპოზიციებს, რითაც პირადად დაინტერესდა ქალაქის მერი გი ლეფრანდი და გულთბილი საუბარი ჰქონდა ქართველ შემოქმედთან.

საფრანგეთის ქალაქებიდან და სხვადასხვა ქვეყნებიდან ჩამოსულმა ჟურნალისტებმა ინტერვიუები აიღეს დღესასწაულის მონაწილეებთან და კომპლიმენტები არ დაიშურეს ღონისძიების ორგანიზატორთა მიმართ.

15 ივნისს ქალაქ ბორდოში ასოციაცია „ქართველები საფრანგეთში“ აწყობს ეროვნულ საღამოს, რომელზეც წარმოდგენილი იქნება ქართული სამზარეულო, ქართული ცეკვა და სიმღერა, საფრანგეთში მოღვაწე ქართველ ხელმარჯვე ოსტატთა ნამუშევრები.

**იზეტა კანკაძე,**
**სორბონის უნივერსიტეტის დოქტორანტი**

# ღვინის ფესტივალი — ძველ გერმანულ უბანში



**კომპანია არემჯის, ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერიისა და გაერთიანება „ღვინო ბოლნისის“ თაოსნობით ღონისძიებას ოქროსფერი ღვინის ქალაქმა ბოლნისმა მეორედ უმასპინძლა.**

„გვიხარია, რომ ძალიან დიდი ჩართულობაა, მაღალია ინტერესი, როგორც მეღვინეების, ასევე ფესტივალზე ჩამოსული სტუმრების მხრიდან. ჩვენ 7 წლის წინ ავიღეთ პასუხისმგებლობა ბოლნისური მეღვინეობის განვითარების ხელშეწყობაზე. სწორედ ბოლნისელი მეღვინეების მხარდაჭერის პროგრამის ნაწილია ბოლნისის ღვინის ფესტივალი, რომელიც ჩვენი მხარდაჭერით ყოველწლიურად გაიმართება“ – განაცხადა **კახაბერ მჭედლიშვილმა**, არემჯის კორპორაციულმა დირექტორმა.

წელს ადგილწარმოშობის ღვინის ფესტივალზე საქართველოს სხვადასხვა კუთხის 50-ამდე მსხვილი მწარმოებლისა და მცირე საოჯახო მარნის დაცული ადგილწარმოშობის დასახელების ღვინოები იყო წარმოდგენილი.

საერთაშორისო გამოცდილების მქონე ჟიურიმ, ენოლოგებმა, ღვინის ექსპერტებმა და მეღვინეებმა საქართველოს 6 რეგიონიდან, 21 დაცული ადგილწარმოშობის დასახელების 87 ღვინის ნიმუში დააგემოვნეს.

კონკურსის გამარჯვებულები ფესტივალის მსვლელობის დროს საზეიმოდ გამოვლინდნენ. წელს ჟიურიმ 10 ოქროსა და 38 ვერცხლის მედალოსანი ღვინო დაასახელა.

ფესტივალი მუსიკალურად გააფორმეს ტრიო „ალილომ“ და კვარტეტმა „რანინამ“, დღის მანძილზე გაიმართა სხვადასხვა გათამაშებები და შემეცნებითი აქტივობები.

**ფესტივალის წარმდგენი იყო არემჯი, მხარდამჭერები: მეღვინეთა გაერთიანება „ღვინო ბოლნისი“, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, ღვინის ეროვნული სააგენტო, ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერია, ბოლნისის აგროცენტრი, საქპატენტი.**

# ალზევებული ბოროტების დასათრგუნავად



**ბრძენკაცთა** ნააზრევიდან ვიცი – მწერალი პოლიტიკაში ნაკლებად უნდა ერეოდეს, მაგრამ ამდენ აუტანელ უკუღმართობათა მხილველს, თავის შეკავება გამიჭირდა. წლების მანძილზე დამიგროვდა საკმაოდ მწვავე ეპიგრამები, ამა თუ იმ მოვლენათა, ცალკეულ, სულით მახინჯ, ზნეობადაქვეითებულ პიროვნებათა ჩემეული შეფასებები. მათ ნაწილს ვუგზავნი გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ მთავარ რედაქტორს, პირუთვნელ ჟურნალისტს, ბ-ნ სპარტაკ ქობულიას და მან განსაჯოს, რამდენად მართალი ვარ. თუ რამე მეშლება, ასეთი ტექსტის გვერდზე გადადებას წინ არაფერი დაუდგება...

**ემზარ კვიტაიშვილი**
19 მაისი, 2024



### მახეში გაბმული გველეშაპი
(„ნულოვანი ტოლერანტობის“ დამნერგავი)

ბოთლებს ისვრის და საწოლში ბორგავს,
სააკაშვილი - მკვლელი, პოლპოტა,
ვინც საქართველო აქცია მორგად,
დასტურ ღირსია, ერგოს გოლგოთა!

### „მეპროტესტეები“

გაავსეს ქუჩა გულისამრევი
ბანერებით და ტრანსპარანტებით...
ჩემო სამშობლოვ, თანდათანობით,
ქუცმაცდები და პატარავდები.

ითხოვენ, სადისტი და ჯალათი,
განთქმული თვალთმაქცობით, ჟუჟვითო,
სულს ღაფავს სააკაშვილი, გმირი,
ტანჯავთ, სასწრაფოდ გამოუშვითო!

### არგასაჩენი

გაიჩაჩხა, გაყიდა,
ვერცკი წახვალ ტურისტად,
ვხედავთ, გასხვისებულა –
კოშკი ჩაჩხატურისა.

ამოგვაგდო, დაგვიდგა
ჟამი თავში წაშენის;
მანვე გაათელინა,
რუსებს, თამარაშენი.

ღირსება და კაცობა,
ბილწმა ფეხით გალესა,
შეატოვა, სულძაღლმა,
მტერს, ხეობა დალისა.
აყაშყაშდნენ ყორნები,
გავტეხთ ციხის დირესო,
ყრანტალებენ მტარვალზე,
რისთვის დაიჭირესო?

ნაცებს სხვა არაფერი
ენაღვლებათ, სრულიად;
საქართველო, ბედკრული,
მათი გაყიდულია!

### ეს სადაური სასჯელია?!
(„ვივამედის“ კლიენტი)

გვიჩვენებენ საკოვს,
პირმოთუთხნულს, შესვრილს;
დაცლილ ბოთლებს, კონსერვებს,
საწყალ ექთნებს ესვრის.

დუჟინობით ჩამოდის
ლოზვი ანუ დუჟი...
„წუხს“ იმათზე, ვინც დარჩა,
გარეთ გასაჟუჟი!

### ყოველდღიური სიმყრალე

ჯობს, ყველას მიწა გაგვისკდეს აქვე –
ბანდები ბოროტ სულთა, უნდოთა...
ჩვენს მამულს, იმდენ სიბილწის მნახველს,
სააკაშვილი რაღად უნდოდა?! –

### აეროპორტის გზაზე
(ნაცების ბუდე)

კედელზე გაკრულ ლოზუნგს,
ვჭვრეტ ბოროტების მარცვალს:
„თავისუფლება მიშას!“ –
ანუ კაცის კვლას, ძარცვას.

### ახალაგმავები

რა სახეები და რა ხმებია! –
ავტორნი მრავალ სისხლიან ფურცლის...
ჯერ საქართველოს, არ მოსწრებია,
ორფეხთა ხროვა, ამაზე ურცხვი.

ერთ ტყუილს იმეორებენ ასჯერ,
ცოფშეყრილები, რას არ ბედავენ;
ვერ მოიფიქრებ საზღაურს, სასჯელს,
რომ მიუყენო იმათ მეთავეს.

სიძულვილს სთესენ დღითა და ღამით,
დაძრწიან, გაჩენილნი გველებად;
მათ რო მოწამლეს, გატენეს შხამით,
იმ ახალგაზრდებს რა ეშველებათ?!

დროა, მოვუხმოთ გონებას ფხიზელს,
დღე მრისხანების, განკითხვის, დადგა;
მზაკვართა ბუდე მოისრას ისე –
აღარაფერი არ დარჩეს მათგან!

### ნაცმოძრაობის ლიდერები

ეს „აქციები“ მღვრიე წყალში
ჩადგმული თქვენი ფაცერია;
„ჩანაწერები“ ვის რად უნდა,
სიბილწე შუბლზე გაწერიათ!

### მოსაშორებელნი

რით მოვიცილოთ ამდენი
გაიძვერა და მაქცია,
„მშვიდობიანი“ აქცია,
ვინც ჯოჯოხეთად აქცია?!

რომელ სოროდან გამოძვრნენ,
ვინ იყო მათი დამბადი?
მოუსავლეთში გავუშვათ,
ყველანი, ცამპა-რამპათი!

**გაგრძელება იქნება**



# ლევილში „ბასიანმა“ და „რუსთავმა“ მსმენელი გაახარეს

**4 ივნისს, ლევილში ანსამბლებმა „ბასიანმა“ და „რუსთავმა“ კონცერტი გამართეს, სადაც დასწრება თავისუფალი გახლდათ.**

საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს ინიციატივითა და საქართველოს მთავრობის მხარდაჭერით, 24 მაისიდან ლევილის ისტორიულ მამულში ქართული ფესტივალი იმართება. 14 ივლისამდე, ყოველ შაბათ-კვირას, საზოგადოებას კულტურული და სპორტული ღონისძიებები ელოდება. ღონისძიებებზე დასწრება თავისუფალია.

ქართული ფესტივალის მხარდამჭერები არიან: ღვინის ეროვნული სააგენტო და შპს „ჯეოვაინ თრეიდინგი“.



# აჭარის შესახებ სამოგზაურო კონტენტი 10-ზე მეტი ქვეყნის იფლუენსერმა გამოაქვეყნა



**უცხოელი ჟურნალისტებისა და ინფლუენსერების აჭარაში მოგზაურობა გრძელდება.** ამჯერად, რეგიონს მედიის წარმომადგენლები სომხეთიდან, ლიეტუვიდან, ესტონეთიდან, უზბეკეთიდან და არაბეთის გაერთიანებული საამიროებიდან სტუმრობდნენ. ინფლუენსერები ძველ ბათუმს, ბულვარს და ქალაქის ძირითად ტურისტულ ღირსშესანიშნაობებს სტუმრობდნენ. ასევე მოინახულეს გონიოსა და პეტრას ციხეები, ბათუმის ბოტანიკური ბაღი, ქედის ძირითადი ტურისტული ღირსშესანიშნაობები და მტირალას ეროვნული პარკი.

აჭარის ტურიზმის დეპარტამენტი რეგიონის მრავალფეროვანი ტურისტული პროდუქტების პოპულარიზაციის მიზნით აქტიურად აგრძელებს მედიატურების ორგანიზებას როგორც ევროპული, ისე აზიური ქვეყნებიდან. პარალელურად, გრძელდება აჭარის შესახებ სტატიების, სიუჟეტებისა და სამოგზაურო კონტენტის გამოქვეყნება სამიზნე ქვეყნების მედიასაშუალებებსა და სოციალურ ქსელებში. მედიატურების მხრივ განსაკუთრებით აქტიური მაისის თვე იყო, რომლის განმავლობაშიც რეგიონს 10-ზე მეტი ქვეყნის ჟურნალისტი და ბლოგერი სტუმრობდა.

# ბრიუსელში ქართული ღვინის მასშტაბური დეგუსტაცია გაიმართა



**ბელგიის დედაქალაქ ბრიუსელში, ქართული ღვინის მასშტაბური დეგუსტაცია – Georgian Natural Wine Day (ქართული ბუნებრივი ღვინის დღე) გაიმართა, სადაც სხვადასხვა სახეობის 10 ქართული ღვინო იყო წარდგენილი.**

დეგუსტაციას 1 000-ამდე სტუმარი, მათ შორის ჟურნალისტები, ბლოგერები, კომერციული სექტორის წარმომადგენლები დაესწრნენ.

ღონისძიება ღვინის ეროვნული სააგენტოს კონტრაქტორი კომპანიის „FLOW SRL“ ორგანიზებით გაიმართა.

ქართული ღვინის მსგავსი მასშტაბური წარდგენა ბრიუსელში მიმდინარე წლის ივნისის ბოლოსაც გაიმართება, რაც ხელს შეუწყობს ცნობადობის ამაღლებას და საექსპორტო ბაზრების დივერსიფიკაციას.

ღვინის ეროვნული სააგენტოს საქმიანობის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას საერთაშორისო ბაზრებზე ქართული ღვინის პოპულარიზაცია წარმოადგენს. სააგენტო ქართული ღვინის პოპულარიზაციის ხელშეწყობის ფარგლებში, 2013 წლიდან, ბაზრების დივერსიფიცირების მიზნით, მიზანმიმართულ სარეკლამო-მარკეტინგულ კამპანიებს აშშ-ში, ევროპისა და აზიის ქვეყნებში ახორციელებს.




# დიდი შვიდეულის ლიდერებმა ღაზაში ცეცხლის შეწყვეტის გეგმას მხარი დაუჭირეს

**„ჩვენ, შვიდეულის ჯგუფის (G7) ლიდერები, სრულად ვუჭერთ მხარს ღაზაში ცეცხლის დაუყოვნებლივ შეწყვეტას, ყველა მძევლის გათავისუფლებას, ჰუმანიტარული დახმარების მნიშვნელოვან და მდგრად ზრდას, ღაზას მასშტაბით განაწილებისთვის და კრიზისის გრძელვადიანი დასასრულისთვის, ისრაელის უსაფრთხოების ინტერესებითა და ღაზას სამოქალაქო უსაფრთხოების უზრუნველყოფით. ჩვენ კიდევ ერთხელ ვადასტურებთ ჩვენს მხარდაჭერას მშვიდობისკენ მიმავალი სანდო გზის მიმართ, რომელიც მიგვიყვანს ორი სახელმწიფოს გადაწყვეტამდე.**

ჩვენ მოვუწოდებთ „ჰამასს“, რომ დათანხმდეს ამ შეთავაზებას, რომლის განსახორციელებლადაც ისრაელი მზად არის. ჩვენ ასევე მოვუწოდებთ ქვეყნებს, რომლებსაც გავლენა აქვთ „ჰამასზე“, დაეხმარონ მათ ამის განხორციელებაში“, – ნათქვამია განცხადებაში.

# ევროპარლამენტი არჩევნებისთვის ემზადება



**ასობით მილიონმა ამომრჩეველმა 720 წევრი უნდა აირჩიოს.**

ხმის მიცემის პროცედურა უკვე გახსნილია ესტონეთში, ქვეყანას 7 ევროპარლამენტარის არჩევის უფლება აქვს.

თითო ქვეყანას ევროპარლამენტში წევრთა რაოდენობა მოსახლეობის რაოდენობის პროპორციულად ენიჭება. ყველაზე მეტი ხმა – 96 გერმანიას აქვს, ყველაზე ნაკლები – 6 ხმა კი კვიპროსს, მალტას და ლუქსემბურგს აქვთ.

შეგახსენებთ, ევროპარლამენტის არჩევნები 5 წელიწადში ერთხელ ტარდება.

# მექსიკას ქალი პრეზიდენტი ეყოლება

**მექსიკაში საპრეზიდენტო არჩევნები გაიმართა. წინასწარი მონაცემებით მმართველი პარტიის მიერ მხარდაჭერილი და მეხიკოს მერი კლაუდია შეინბაუმი ლიდერობს. ამის შესახებ CNN-ი წერს.**

შეინბაუმმა ამომრჩეველთა ხმების 57,3% მიიღო. მისმა უახლოესმა კონკურენტმა კსოჩიტლ გალვესმა კი 29,8%. წინასწარ მონაცემებს მექსიკის არჩევნების ეროვნული ინსტიტუტი (INE) აქვეყნებს. არჩევნების ოფიციალური შედეგები საარჩევნო უბნების დახურვიდან 24 საათში ცხადდება, თუმცა INE „სწრაფი დათვლის“ შედეგებს აქვეყნებს, რათა მოქალაქეებს არჩევნების შესახებ ზუსტი ინფორმაცია ჰქონდეთ.

შეინბაუმი მექსიკის ისტორიაში პირველი ქალი პრეზიდენტი იქნება. CNN-ი ამას დიდ მიღწევას უწოდებს „ქვეყნისთვის, რომელიც თავისი პატრიარქალური კულტურით არის ცნობილი“. შეინბაუმი 61 წლისაა, ის ებრაულ ოჯახში გაიზარდა. 2018 წელს ის მეხიკოს მერად აირჩიეს.



2008 წელს კი შეინბაუმი მშვიდობის დარგში ნობელის პრემიის კოლექტიურ ლაურეატებს შორის აღმოჩნდა, როგორც კლიმატის ცვლილებებზე მომუშავე მთავრობათაშორისი ჯგუფის წევრი.

# პარიზში, ეიფელის კოშკთან კუბოები დადგეს



**პარიზში ფრანგი სამხედროების უკრაინაში გაგზავნის მოწინააღმდეგეებმა აქცია-პერფორმანსი გამართეს. ამის შესახებ Deutsche Welle ადგილობრივ მედიაზე დაყრდნობით წერს.**

გამოცემის ინფორმაციით, აქციის ორგანიზატორებმა ეიფელის კოშკის წინ დადგეს 5 კუბო და ბანერი წარწერით „ფრანგი ჯარისკაცები უკრაინაში“. კუბოებში თაბაშირით სავსე ტომრები იდო.

**AFP** წერს, რომ აქციის სავარაუდო ორგანიზატორები უკვე დაკავებულები არიან. ისინი ბულგარეთის, გერმანიისა და უკრაინის მოქალაქეები გახლავთ. პარიზის პროკურატურა საქმეში „სავარაუდო უცხოურ ჩარევას“ იძიებს.

30 მაისს საფრანგეთის პრეზიდენტმა ემანუელ მაკრონმა განაცხადა, რომ საფრანგეთმა შესაძლოა უახლოეს დროში გაგზავნოს უკრაინაში სამხედრო ინსტრუქტორები, რომლებიც უკრაინელ ჯარისკაცებს გაწვრთნიან.



# კაცი – თეატრი, რაჭის სული... საუკუნის მოვლენა

**„...ხუთი-ექვსი წლის ვიქნებოდი, როცა მეზობლის ბავშვებმა გადმომძახეს, ჩვენთან გადმოდი, წარმოდგენას ვმართავთო და თუმცა არავითარი წარმოდგენა არ მქონდა „წარმოდგენაზე“, მესერზე მაინც გადავფოფხდი და უჩვეულო სანახაობის მოწმე გავხდი“, – გაიხსენებს მოგვიანებით სასცენო ნათლობით მოგვრილ დაუვიწყარ შთაბეჭდილებას სახელოვანი რეჟისორი, ქართული თეატრის ჭეშმარიტი მშვენება, უკვე საუკუნის თანატოლი გიგა ჯაფარიძე.**

**მომავალ** რეფორმატორს მისაბაძი მაგალითებიც ჰყავდა ონელ სცენის მოყვარულთა – ღალაკო იაშვილისა და ნესტორ დუშუაშვილის სახით, ხელოვნების ანბანას კი ერთი წლით უფროს უახლოეს ნათესავთან – თემურ ყიფიანთან განსაკუთრებულ შემოქმედებით დუეტში ეზიარა – მათ ხომ საერთო დედულეთი – სოფელი აბარი აერთიანებდათ.

**„...ბავშვობიდან ჩემი უსაყვარლესი საგანი ხატვა იყო, რომელიც დედამ შემაყვარა. იგი მშვენივრად ხატავდა და ქარგავდა. ძალზე მიტაცებდა მუსიკაც. ბაბუა, ბებია, მამა და ბიძა კარგი მომღერლები იყვნენ და თითქმის ყოველ საღამოს ჩვენთან საოჯახო კონცერტები იმართებოდა. შემდეგ მეც შევისწავლე ჯერ მანდოლინაზე დაკვრა, მერე გიტარა, ფანდური, სალამური, გარმონი, აკორდეონი და ბოლოს სტვირი“** – ესეც ფართო დიაპაზონის მოღვაწის სიტყვებია, რომლის თითოეული რეპეტიცია ხელოვნების აკადემია გახლდათ.

მართლაც, კულტურის რომელ დარგს არ დააჩნია მადლიანი კვალი ბატონმა გიგამ, მაგრამ ჩვენ, მისი ტალანტის თაყვანისმცემლებს, გამორჩეულად გვეძვირფასება მის მიერ ონისა და ამბროლაურის სახალხო თეატრების სცენებზე დადგმული საეტაპო მნიშვნელობის სპექტაკლები, სამშობლოსა და მის საზღვრებს მიღმაც რაჭის სადარბაზო ბარათად რომ იქცა. სხვათა შორის, როგორც მსახიობმა, თვითონაც უამრავი კოლორიტული პერსონაჟი განასახიერა.



მედეა ჯაფარიძესთან ერთად

**„ბარათაშვილი“, „ჯარისკაცის ქვრივი“, „ღალატი“, „მეფე ერეკლე“, „კიკვიძე“, „ნაცარქექია“, „ლეგენდა რუსთაველზე“, „კოლმეურნის ქორწინება“, „მუნჯები ალაპარაკდნენ“, „ღატაკი მილიონერი“, „სამშობლო“, „ოიდიპოს მეფე“, „ჰამლეტი“, „მელა და ყურძენი“, „მეფე ლირი“** – ეს მხოლოდ ნაწილია იმ პიესებისა, თეატრალური ხელოვნების ოქროს ფონდში რომ დაუმკვიდრა მარადიული ადგილი ჩვენს მარადიულ თანამედროვეს.

საყვარელო გიგა ბიძია! – მალე თქვენი საფიცარი გიგიტო ჯაფარიძე – უმცროსი „ონელობის“ დღესასწაულზე თქვენი 100-წლოვანი იუბილესადმი მიძღვნილი ფილმის პრემიერით მოგილოცავთ მრგვალ თარიღს, მე კი ცრემლნარევი სევდით დავსვამ წერტილს: დანაშაულებრივი სინანულისა – თქვენს საოცნებო ეზოში ფეხადგმული და აღზრდილი, დაკრძალვაზე რომ ვერ გამოგეთხოვეთ და ასე ჩაგიყარეთ მშობლიური ამაგი წყალში; და სიამაყისა – პარტნიორობის შანსი რომ მომეცით და საოჯახო თეატრალური დინასტიის წევრად მაკურთხეთ!



**გია პლატონიშვილი**

# 2024 წლის 14 ნოემბრიდან 19 დეკემბრის ჩათვლით საქართველოში მოსახლეობის და სოფლის მეურნეობის საყოველთაო აღწერაა დაგეგმილი

**საქსტატის აღმასრულებელი დირექტორის გოგიტა თოდრაძის თქმით, 2024 წლის 14 ნოემბრიდან 19 დეკემბრის ჩათვლით საქართველოში მოსახლეობის და სოფლის მეურნეობის საყოველთაო აღწერაა დაგეგმილი.**

ამის შესახებ თოდრაძემ ბრიფინგზე ისაუბრა.

„აღწერა ტარდება ორ ეტაპად. პირველ ეტაპზე, 14 ნოემბრიდან 23 ნოემბრის ჩათვლით, მონაცემები შეგროვდება თვითრეგისტრაციის მეთოდის გამოყენებით. ეს გულისხმობს იმას, რომ მომხმარებელს შეეძლება შევიდეს ჩვენს ვებგვერდზე და დაარეგისტრიროს კითხვარით გათვალისწინებული ინფორმაცია. მეორე ეტაპზე,




რომელიც ჩატარდება 29 ნოემბრიდან 19 დეკემბრის ჩათვლით, მონაცემები შეგროვდება პლანშეტური კომპიუტერის გამოყენებით“, – განმარტა თოდრაძემ.

## განცხადება

### საჯარო განხილვის შესახებ

სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვა - **შპს „ბათუმის წყალის“ მიერ ქ. ბათუმში ადლიის ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის და საკანალიზაციო სისტემის ექსპლუატაციის პირობების ცვლილება და წარმადობის გაზრდა**

**გადაწყვეტილების მიმღები უფლებამოსილი ორგანოა სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო. საჯარო განხილვის ორგანიზატორია სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი.**

დაგეგმილი საქმიანობის სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვის დრო და ადგილი: **2024 წლის 17 ივნისი, 15:00 საათი, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერია** (მის: **ქ.ბათუმი დიდაჭარის ქ. №23)**

საჯარო განხილვა ღიაა. მონაწილეობის, შენიშვნებისა და მოსაზრებების წარდგენის უფლება აქვს საზოგადოების ნებისმიერ წარმომადგენელს. წარმოდგენილ დოკუმენტაციასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები შეგიძლიათ, გაუგზავნოთ **სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს 2024 წლის 21 ივნისის ჩათვლით მისამართზე:** ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი N150 ან ელ-ფოსტაზე: eia@mepa.gov.ge (გამოგზავნისას მიუთითოთ ადრესატი: სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს). მოთხოვნის შემთხვევაში, წარმოდგენილი დოკუმენტაციის ნაბეჭდი/მატერიალური ვერსიის ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი. საჯარო განხილვასთან დაკავშირებით მიმართეთ და განათლების ცენტრს (ტელ: 0322 112023, ელ-ფოსტა: ph@eiec.gov.ge, მის: ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი N32გ).

**განცხადების რეგისტრაციის თარიღი: 2024 წლის 27 მაისი.** განცხადების რეგისტრაციიდან არაუადრეს 26-ე და არაუგვიანეს 30-ე დღისა სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო გასცემს დასკვნას.

## განცხადება

### აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[I]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს ალიკა მიტიჩაშვილის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

**აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:**

**1. უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ალიკა მიტიჩაშვილი (პ/ნ 13001004782), გურჯაანი, ს. ველისციხე, 35-ე ქუჩა №78

**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:**

გურჯაანი, ს. ველისციხე (საკადასტრო კოდი: 51.07.63.351)

**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

**2. უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 59028.11 ლარი.

**3. აუქციონის დაწყების თარიღი:** 2024 წლის 4 ივნისი, 14:00 საათი.

**4. აუქციონის დასრულების თარიღი:** 2024 წლის 14 ივნისი, 14:00 საათი.

**5. აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

**5.1. ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP99006324; აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 990063

**6. მოვალე:** ალიკა მიტიჩაშვილი (პ/ნ 13001004782), გურჯაანი, ს. ველისციხე, 35-ე ქუჩა №78; მანანა სარაშვილი (პ/ნ 13001047977), გურჯაანი, ს. ველისციხე, მე-5 ქუჩა №6

7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.

**8. აუქციონის პირობები:**

- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ლიბერთი ბანკი“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

**9. აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP99006324; ლოტის ნომერი: 990063).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2024 წლის 14 ივნისის 12:00 საათამდე.

# მარნეულს ახალი სტადიონი ამშვენებს



**მარნეულში საფეხბურთო UEFA-ს კატეგორიის სტადიონი გაიხსნა.**

გახსნის ღონისძიებას პრემიერ-მინისტრი, ინფრასტრუქტურის მინისტრი, კულტურისა და სპორტის მინისტრი და ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი დაესწრნენ. მათ სტადიონზე მყოფ სხვადასხვა ასაკის სპორტსმენებს სიტყვით მიმართეს.

სტადიონის მშენებლობა რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მუნიციპალური განვითარების ფონდმა განახორციელა.

უწყების მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში აღნიშნულია, რომ ახალი სტადიონის პროექტირება-მშენებლობის სამუშაოები სახელმწიფო ბიუჯეტიდან 8.2 მილიონი ლარით დაფინანსდა.

ახალ, ხელოვნურ საფარიან საფეხბურთო სტადიონზე აშენდა 2000 გულშემატკივარზე გათვლილი ტრიბუნა და დამონტაჟდა სტადიონის განათებისა და გახმოვანების სისტემები. სტადიონის კომპლექსი მოიცავს უეფას სტანდარტებით (II კატეგორია) გათვალისწინებულ აუცილებელ ყველა სივრცეს: გასახდელებს, საშხაპეებს, სწრაფი კვებისა და ტელერეპორტაჟების სივრცეებს და სხვა სამეურნეო და ტექნიკურ სათავსოებს. სტადიონი აღჭურვილია თანამედროვე სახანძრო სისტემით და სრულად ადაპტირებულია შშმ პირთათვის.

პროექტი განხორციელდა ენერგოეფექტურობის ღონისძიებებით, რაც ითვალისწინებდა გათბობა-კონდიცირების, ვენტილაციის და განათების სისტემების ენერგოდამზოგ გადაწყვეტებს, გადახურვისა და კედლების თბოიზოლაციას.

**ევრო – 2024**

# უკვე — ყველანი



**საქართველოს ეროვნული საფეხბურთო ნაკრები ავსტრიულ შეკრებაზე უკვე სრული შემადგენლობით ღვრის ოფლს. ვილი სანიოლის გუნდს უკანასკნელი 4 რჩეული განსხვავებული განწყობით შეუერთდა.**

კერძოდ, მისალოცად აქვს საქმე პერსეპოლისის მცველს **გიორგი გველესიანს,** ვისმა ზუსტმა თაურმა დარტყმამაც მასპინძლებს ირანის ჩემპიონობა მოუტანა – 1:0.

ვფიქრობთ, არანაკლებ აწეული ტონუსით გადმოუფრინა ოკეანეს **საბა ლობჟანიძემ,** რომელმაც ატლანტა იუნაიტედის მაისურით დუბლი თვით მლს-ის ლიდერ ინტერ მაიამის შეუსრულა და დიდი წვლილი შეიტანა ლეო მესის პარტნიორთა დაჩოქებაში – 3:1.

საპირისპიროდ განვითარდა მოვლენები ევროპაში მოთამაშე ლეგიონერთა კლუბებისთვის, თუმცა თუ **ლუკა ლოჩოშვილს** არ მისცემია თავის გამოჩენის შანსი (ვენეცია – კრემონეზე 1:0), **ჟორჟ მიქაუტაძემ,** პირიქით, ამჯერადაც აქცია გოლად ინდივიდუალური ოსტატობით დამსახურებული პენალტი, მაგრამ საბოლოო წარმატებისთვის ეს საკმარისი არ აღმოჩნდა (მეცი – სენტ ეტიენი 2:2, დამატებით დროში). შედეგად, კრემონეზეც და მეციც მომავალ სეზონს იტალიისა და საფრანგეთის მეორე დივიზიონებში გაატარებენ.

იქნებ, ეს ჯვაროსანთათვის უკეთესიც კი იყოს, განსაკუთრებით მიქაუტაძისთვის, რადგან მისით მონაკო და ლიონი ინტერესდებიან. უკანასკნელი ინფორმაციით, მათ გალათასარაიც შეუერთდა.

რადგან სავარაუდო ტრანსფერების თემას შევეხეთ, აუცილებლად უნდა გავამახვილოთ ყურადღება ხვიჩა კვარაცხელიას მომავალზე, მით უმეტეს მაშინ, როცა ნაპოლის თაობაზე უამრავი ინფორმაცია ვრცელდება.

კერძოდ, გამოკვეთილა თურმე კამპანიელებთან ანტონიო კონტეს მიერ კონტრაქტის გაფორმების ვარიანტი და იგი ახალი გუნდის აშენებას, ეტყობა, კვარას გარშემო აპირებს, არადა, მბაპეს რეალში წასვლის შემდეგ ხვიჩას პსჟ უმიზნებსო. რას არ გაიგებ კაცი...

**რასაცა დასთეს...**

# მერე ნუღარ გიკვირთ!

**ერთ თვეზე ნაკლები რჩება პარიზის ოლიმპიადის საკვალიფიკაციო ტურნირამდე, რომელსაც რიგა უმასპინძლებს და წესით ლატვიაში გამგზავრებამდე საქართველოს კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტს ვიქტორ სანიკიძეს ხელის შეშლის ნაცვლად ყველა პირობას უნდა ვუქმნიდეთ უამრავი მსხვილმან-წვრილმანი საკითხის მოსაგვარებლად, მაგრამ სიმშვიდეს ვინღა ჩივის, ამ დღეებში ვაკის პარკში მომხდარი ფაქტი კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ნაციონალური შპანისა და მასთან თანშეზრდილი NJO (ნაციონალური ჯოჯოხეთის ოპრიჩნიკები) სექტორისათვის არავითარი სიწმინდე, მათ შორის ოჯახი, არ არსებობს.**

საუბარია მეუღლისა და მცირეწლოვანი შვილის თანდასწრებით პარლამენტის წევრზე განხორციელებულ სიტყვიერ შტურმზე – როგორ თუ ქართული ოცნების მიერ შემოგდებულ „რუსულ კანონს“ მხარი დაუჭირეო.



ჯერ ერთი, დღემდე ვერავინ – ვერც ქვეყნის შიგნით და ვერც მის საზღვრებს მიღმა ვერ დაასახელა ერთი პუნქტიც კი აღნიშნული დოკუმენტის ანტიეროვნულობის დასტურად, მეორეს მხრივ კი ოპონენტების მიმართ გახშირებული ბულინგის ავტორებს რატომ ავიწყდებათ, რომ ძალადობა ძალადობას შობს? ჰოდა, მერე ნუღარ გაჰკივიან, მმართველი პარტიისა და მის დამქაშთა აგრესიის მსხვერპლნი ვართო.

რაც შეეხება წერილის შესავალში ნახსენებ ბალტიისპირულ გამოცდას, მის ჩასაბარებლად **ალექსანდრ ჯიკიჩის** გაწვრთნილი ჯვაროსნები გუნდის ერთ-ერთი ლიდერის – **გიორგი შერმადინის** გარეშე ითამაშებენ, რომელმაც ნეკნი დაიზიანა და სეზონი ვადამდე დაასრულა.

ჯერჯერობით თბილისურ შეკრებაზე საქართველოს ნაკრები არასრული შემადგენლობით ვარჯიშობს, **თორნიკე შენგელია, ჯო ტომასონი** და **სანდრო მამუკელაშვილი** პარტნიორებს იტალიურ ტრევიზოში, მზადების მეორე ეტაპზე შეუერთდებიან, სადაც ამხანაგურ მატჩებსაც გამართავენ.

**ლეგენდების სერიით**

# „ამოხეთქილი ძალა ქართული“




**სოციალურ მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, განათლების მეცნიერებათა აკადემიის წევრს, ბრწყინვალე მოქართულესა და ენათმეცნიერს, თაობათა საყვარელ აღმზრდელს, საქართველოს დამსახურებულ ჟურნალისტს ვაჟა დანელიას რეგალიები არ აკლია, მაგრამ დღეს თავს უფლებას ვაძლევთ ერთ დროს საზოგადოებაში საკმაოდ დაფასებული – მომარაგების უფროსის თანამდებობითაც შევამკოთ.**

ვინც შეიცხადებს, ვუხსნით: კაცი რომ ასე ინტენსიურად განებივრებს სამაგიდო, ამ შემთხვევაში – სასპორტო წიგნებით, დიახაც იმსახურებს იმ ჯილდოებს, ხანგრძლივი მოღვაწეობის განმავლობაში რომ დაუხვავდა, მით უმეტეს მაშინ, როცა რაოდენობას ხარისხიც ამშვენებს, გადმოცემის კულტურაზე რომ აღარაფერი ვთქვათ.

ზემოთ რაოდენობა ვახსენეთ და ბარემ აქვე დავაკონკრეტოთ: ამ დღეებში საგამოფენო ცენტრმა „ექსპო ჯორჯიამ“ თბილისის წიგნის პოპულარულ ფესტივალს უმასპინძლა, სადაც მკითხველმა ჩვენი ძვირფასი კოლეგის საიუბილეო – მე-20 თხზულება „ამოხეთქილი ძალა ქართული“ მიიღო, რომელიც გამომცემლობა „არტანუჯმა“ ახალი პროექტის – ლეგენდების სერიით დაბეჭდა (მთავარი რედაქტორი – **ვაჟა სიმონიშვილი**, რედაქტორი – **მამუკა ჩიხლაძე,** კოორდინატორი – **დავით ნიორაძე**) და სწორუპოვარ კალათბურთელსა და მწვრთნელს **ოთარ ქორქიას** ეძღვნება.

აღსანიშნავია, რომ გულშემატკივარი ჯერაც მკლავმოუღლელი კალმოსნის ახალ კრებულში სამამულო კალათბურთის ბერმუხის კარიერის გარდა მისი ვაჟის – **ნოდარისა** და ძმისწულის – ოლიმპიურ ჩემპიონ **მიხეილ ქორქიების** რამდენიმე ცხოვრებისეულ ეპიზოდსაც გაეცნობა.

დავძენთ, რომ „არტანუჯმა“ დასახელებული სერიით ასევე გამოსცა შემდეგი წიგნები: **ლიონელ მესი, პეპ გვარდიოლა, რონალდო, ჯანლუიჯი ბუფონი, ვიქტორ სანეევი, ლებრონ ჯეიმსი, დავით ყიფიანი, გიორგი ნიკოლაძე და ალესანდრო დელ პიერო.**

**ორიოდე სიტყვით**

### ჩოგბურთი

**სლოვენია.** 40.000-იანი ტურნირი. წყვილები. **პირველი ადგილი** – ეკატერინე გორგოძე და ვალერია სტრახოვა (უკრაინა). შეგახსენებთ, რომ ამ შერეულმა დუეტმა ერთი კვირის წინათ იქვე მსგავსი ტურნირიც მოიგო.

### პარასროლა

**ესპანეთის ქალაქ გრანადაში** მიმდინარე პარამსროლელთა ევროპის ჩემპიონატზე **ლადო ჯინჯარაულმა** ვერცხლის მედალი მოიპოვა.

ქართველმა ჩუბინმა 10-მეტრზე პნევმატიკური თოფიდან სროლაში 251.5 ქულა დააგროვა.

### კრივი

**ბანგკოკი (ტაილანდი).** პარიზის ოლიმპიადის სალიცენზიო ტურნირი. 92 კგ. ევროპის ჩემპიონმა და მსოფლიოს პირველობის ბრინჯაოს პრიზიორმა **გიორგი ყუშიტაშვილმა** ზედიზედ სძლია გაიანის, ლუქსემბურგის, საბერძნეთისა და აშშ-ის წარმომადგენლებს, რითაც ფრანგულ რინგზე ასპარეზობის უფლება დაიმსახურა ისევე, როგორც უფრო ადრე – **ლაშა გურულმა.** სამწუხაროდ, 71 კილოში ულიცენზიოდ დარჩა 3 ბრძოლის მომგები **ესკერხან მადიევი,** ვისაც იორდანიელ მეტოქესთან მსაჯების საეჭვო წაგება „მიუსაჯეს“.




გიორგი ყუშიტაშვილი უტევს




## ღამე მართლაც ეშმაკისაა...

**გვიან ღამით ახალციხე-ასპინძის დამაკავშირებელ გზაზე ცხვრებით დატვირთული ტრაილერი გადაბრუნდა. დაშავდა ორი ადამიანი. ისინი კლინიკაში გადაიყვანეს.**



**როგორც შემთხვევის ადგილზე „სამხრეთის კარიბჭეს" განუცხადეს, მწყემსებს ფარა კახეთიდან საზაფხულო საძოვრებზე მოჰყავდათ. მოსახვევში, სავარაუდოდ, მძღოლმა საჭე ვერ დაიმორჩილა და გადაბრუნდა.**

დახოცილია დიდი რაოდენობით ცხვარი.

## პანამის დროშით მცურავმა გემმა შავი ზღვა დააბინძურა

**გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის შავი ზღვის დაცვის კონვენციური სამმართველოს თანამშრომლებმა, სასაზღვრო პოლიციის თანამშრომლებთან ერთად, შავი ზღვის დაბინძურების ფაქტი გამოავლინეს – ამის შესახებ ინფორმაციას გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი ავრცელებს.**



მათი ინფორმაციით, პანამის დროშის ქვეშ მცურავმა გემმა ზღვა სამეურნეო წყლებით დააბინძურა. ფოთის სასამართლომ გემი სამართალდამრღვევად ცნო და 65 000 ლარის ოდენობის ჯარიმა დააკისრა.

„პანამის დროშის ქვეშ მცურავ გემს საქართველოს ტერიტორიული წყლების დატოვებისა და თავისუფალი ნაოსნობის უფლება დაკისრებული საჯარიმო სანქციისა და გარემოსთვის მიყენებული ზიანის თანხის გადახდის შემდეგ მიეცა".



## არადეკლარირებული ოქრო

**ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საბაჟო გამშვებ პუნქტში – „სარფი", მებაჟე ოფიცრების მიერ, უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიმართ ეჭვის საფუძველზე, მათი კუთვნილი ბარგისა და ფიზიკური დათვალიერების (სხეულის რენტგენო ინსპექტირების სკანერის გამოყენება) შედეგად, დიდი ოდენობით არადეკლარირებული ოქროს (საერთო წონა: 389,5 გრამი) საიუველირო ნაკეთობები გამოვლინდა.**

არადეკლარირებული საქონლის საერთო საბაჟო ღირებულებამ 46 683,7 ლარი შეადგინა.

ორივე კანონდამრღვევი მოქალაქის საქმის მასალები, შემდგომი რეაგირების მიზნით, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურს გადაეცა.



## ქურდულ სამყაროსთან კავშირში მყოფი 3 პირი დააკავეს

**შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადებით, თბილისში, „ქურდულ სამყაროსთან" კავშირში მყოფი 3 პირი დააკავეს.**

უწყება ამბობს, რომ „ქურდული სამყაროს" წევრობის ფაქტზე დაკავებულები არიან: წარსულში ნასამართლევი 1969 წელს დაბადებული დ.თ. და 1990 წელს დაბადებული ვ.გ. (მეტსახელად „ბაჩი"). ხოლო „ქურდული სამყაროს" წევრისათვის მიმართვის ფაქტზე დაკავებულია წარსულში ნასამართლევი 1990 წელს დაბადებული დ.ც.

„გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა დ.ც.-მ ფინანსური დავის გადაწყვეტის მიზნით, „ქურდული სამყაროს" წევრს – მეტსახელად „ბაჩის" მიმართა. მეორე მხარემ თავის მხრივ, ასევე კრიმინალურ ავტორიტეტებს სთხოვა დახმარება, რის შემდეგაც, ბრალდებულ დ.თ.-ს საცხოვრებელ ბინაში „ქურდული გარჩევა" მოეწყო.

ბრალდებულებმა ე.წ. ქურდული ტრადიციების შესაბამისად მოწყობილ შეკრებაზე, მოდავე მხარეს მეორის სასარგებლოდ, განსაზღვრულ დროში გარკვეული თანხის გადახდა დააკისრეს", – წერია განცხადებაში.გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 223-ე პრიმა მუხლის პირველი ნაწილით და 223-ე მეოთხე პრიმა მუხლის პირველი ნაწილით მიმდინარეობს. დანაშაულები 10 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

## იტალიაში 23 მილიონი ევროს კოკაინი აღმოაჩინეს

**იტალიაში, ქვეყნის სამხრეთ ნაწილში, პოლიციამ 23 მილიონი ევროს ღირებულების კოკაინი აღმოაჩინა.**

სამართალდამცველებმა ოპერაცია ქალაქ კანდიდონეში ჩაატარეს. პოლიციამ 285 კილოგრამი კოკაინი ამოიღო, დაკავებულია 40 წლის მამაკაცი.

კოკაინი ჩანთებში იყო მოთავსებული და საწვავის კონტეინერებში ჩამალული. მას საყოფაცხოვრებო ნივთებთან ერთად ინახავდნენ.




## სანთელი

**ბონდო ჯიქია, გურამ გუნავა, იგორ ქობალია, ჯემალ კვირტია, ნუგზარ სულავა, მურმან ნაჭყებია, ვაჟა ფიფია, თენგიზ შანავა, ლერი ჭითანავა და ოთარ ჭითანავა** ღრმა მწუხარებით იუწყებიან ცნობილი სამეურნეო მუშაკის, ჩაის გადამწონი ფაბრიკის ყოფილი დირექტორის, უანგარო მეგობრისა და ქართული ტრადიციების დამცველის, ზუგდიდის კოლორიტის

**ლერი ჯიქიას**

გარდაცვალებას. სამძიმარს უცხადებენ ოჯახს, სანათესაოსა და დიდ საახლობლოს. ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული.

## კობა კობალაძემ რაგბის კლუბ „არმიას" უმასპინძლა



**ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის ინფორმაციით, შეხვედრაზე სამსახურის დირექტორმა, გუნდის წევრებს პირადად მიულოცა საქართველოს ჩემპიონატის დიდი 10-ის საგზურის მოპოვება და მათ მომავალ სეზონზე წარმატებები უსურვა.**

„ყველას ერთად გილოცავთ ამ გამარჯვებას! ერთ-ერთი დიდი და მძიმე ბრძოლა იყო, თქვენი შედეგიდან გამომდინარე. ახალი შესაძლებლობები გაგიჩნდათ, წინ ახალი ასპარეზია. სამხედროებში ამბობენ, ხოლმე – „დაკავება უფრო იოლია, ვიდრე შენარჩუნება." აქედან გამომდინარე, უმაღლეს ლიგაში, სისუსტის შესაძლებლობა, ფაქტობრივად, აღარ გვაქვს. უფრო მეტად მობილიზებული და უფრო მეტად შემართებულები უნდა ვიყოთ.

მადლობა მინდა გითხრათ, თქვენი მონდომებისთვის და ბრძოლისთვის. ნულიდან დავიწყეთ და თქვენმა ბრძოლისუნარიანობამ, შეუპოვრობამ მიგვიყვანა იქამდე, რომ დღეს,უკვე უმაღლეს ლიგაში ვართ. გილოცავთ კიდევ ერთხელ ამ წარმატებას," – მიმართა კობა კობალაძემ გუნდის წევრებს.

სტუმრებმა, თავის მხრივ, კობა კობალაძეს მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადეს და აღნიშნეს, რომ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის და მისი დირექტორის მხრიდან გამოხატული მხარდაჭერა და გულშემატკივრობა, გუნდის წევრებისთვის დიდი მოტივაციაა.

შეხვედრას ასევე ესწრებოდა – ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის დირექტორის პირველი მოადგილე ნიკოლოზ კვეზერელი, მოადგილე მირონ ჩიგოგიძე, დირექტორის მრჩეველი, ვლადიმერ იმნაძე.

**ინფორმაციისთვის, 19 მაისს, ფოთის რაგბის სტადიონზე, „არმიამ" ოზურგეთის „არწივები" დამაჯერებელი ანგარიშით – 23:6 დაამარცხა და 2024-25 წლიდან დიდი 10- ში იასპარეზებენ.**

**რაგბის კლუბი „არმია" ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურს მმართველობაში 2019 წელს გადმოეცა; 2022 წლის 18 იანვარს კი, თავდაცვის სამინისტრო კლუბის თანადამფუძნებელი გახდა.**

## მექსიკაში ქალაქ კოტიხას მერი იოლანდა სანჩესი მოკლეს



**მექსიკაში ქალაქ კოტიხას მერი იოლანდა სანჩესი მოკლეს. ადგილობრივი მედიის ცნობით, მას 19-ჯერ გაუხსნეს ცეცხლი.**

იოლანდა სანჩესი საავადმყოფოში გადაყვანის შემდეგ გარდაიცვალა. დაღუპულია ასევე მისი პირადი მცველი. სამართალდამცველები ვარაუდობენ, რომ თავდასხმაზე პასუხისმგებელი ერთ-ერთი ორგანიზებული დაჯგუფებაა.

იოლანდა სანჩესი ქალაქის მერი 2021 წელს გახდა. როგორც მედია წერს, ბოლო პერიოდში ის მისი მისამართით განხორციელებული მუქარების შესახებ იუწყებოდა. 2023 წელს იოლანდა სანჩესი ხალისკოს შტატში ვიზიტისას გაიტაცეს და სამი დღის განმავლობაში ტყვეობაში ჰყავდათ.

# გიორგეთში ჯიმშერ მაისურაძის დღე აღინიშნა!



ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერმა ჯონდო მდივნიშვილმა და საკრებულოს თავმჯდომარემ კახა ჯამბურიამ, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან, ასევე ომისა და თავდაცვის ძალების ვეტერანებთან ერთად, გვირგვინით შეამკეს ეროვნული გმირის, ჯიმშერ მაისურაძის საფლავი და პატივი მიაგეს მის ხსოვნას.

ტრადიციულად, სოფელში გმირის ხსოვნის პატივსაცემად სხვადასხვა სპორტული და კულტურული აქტივობებით გაიმართა. ჯიმი მაისურაძე ავღანეთში, სამაჩაბლოსა და აფხაზეთში იბრძოდა. 1992 წლის 26 დეკემბერს ქართველი სამხედრო პილოტის ვერტმფრენი მოწინააღმდეგე დესანტმა აფხაზეთში რაკეტით ჩამოაგდო. სიკვდილის შემდეგ ჯიმშერ მაისურაძეს ეროვნული გმირის წოდება და ვახტანგ გორგასლის პირველი ხარისხის ორდენი მიენიჭა.

# იაპონური ჩაის ზეიმი ეროვნულ ბოტანიკურ ბაღში

**საქართველოს ეროვნულ ბოტანიკურ ბაღში 4 ივნისს საქართველოში იაპონიის საელჩოს ორგანიზებით ჩაის ცერემონიალი გაიმართა.**

თბილისის მერიის ინფორმაციით, ღონისძიებას უძღვებოდნენ საგანგებოდ მოწვეული ჩაის ოსტატები იუ კომაკი და ტოშიკო ონერი. იაპონური ჩაის ცერემონიაზე, რომელიც ასევე ცნობილია, როგორც ჩაის გზა (ჩადო), სტუმრების წინაშე დაფქული მწვანე ჩაი რიტუალურად მზადდება.



ღონისძიებას საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის დირექტორი **ირინე დანელია** და იაპონიის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში **იშიძუკა ჰიდეკი** დაესწრნენ.

# საქართველოს ტურისტულ პოტენციალს საუდის არაბეთში გაეცნენ



**საქართველოს ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ პირველად საუდის არაბეთში, ერ-რიადში მონაწილეობა მიიღო საერთაშორისო ტურისტულ გამოფენაზე Riyadh Travel Fair.**

სამდღიან გამოფენაზე ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციასთან ერთად 20-მდე კერძო კომპანია და სახელმწიფო ორგანიზაცია მონაწილეობდა. Riyadh Travel Fair-ზე, საქართველოს სტენდთან სტუმრებს საშუალება ჰქონდათ, გასცნობოდნენ საქართველოს ტურისტულ პროდუქტებს.

საუდის არაბეთის საერთაშორისო ტურისტულ გამოფენაზე 32 ქვეყნიდან 200-ზე მეტი კომპანია და ორგანიზაცია მონაწილეობდა. გამოფენას 23.000-ზე მეტი ვიზიტორი ეწვია.

სტიქია

# ონის მუნიციპალიტეტში მიწისძვრამ საცხოვრებელი სახლები დააზიანა

**ონის მუნიციპალიტეტში, მიწისძვრამ საცხოვრებელი სახლები დააზიანა. გვიან ღამით 5,4 მაგნიტუდის სიმძლავრის ბიძგები აღირიცხა.**

ეპიცენტრი სოფელი ონჭევი იყო. ადგილობრივი ხელისუფლების ინფორმაციით, 112-ში 20-მდე შეტყობინება შევიდა.

სტიქიას ნგრევა არ მოჰყოლია, არ არიან დაშავებულები. დაზიანებულია შენობების კედლები.

კომისია ზარალს შეისწავლის და დასკვნას გამოაქვეყნებს. ადგილობრივი ხელისუფლების განცხადებით, დაზარალებულებს დაეხმარებიან.

# რუპერტ მერდოკი რომან აბრამოვიჩის ყოფილ სიდედრზე დაქორწინდა, მაგრამ... რატომ დაქორწინდა, არ იცის!

**93 წლის მედიამაგნატი რუპერტ მერდოკი მეხუთედ დაქორწინდა. ამის შესახებ The Times-ი წერს.**

გამოცემის ინფორმაციით, News Corp.-ის საპატიო თავმჯდომარის რჩეული 67 წლის ბიოლოგი ელენა ჟუკოვა გახდა.

ცერემონია მერდოკის სახლში, კალიფორნიაში გაიმართა. მას წყვილის ნათესავები და მეგობრები დაესწრნენ. ქორწილის ფოტოები კი News Corp.-ში შემავალმა გამოცემებმა გამოაქვეყნეს.

მერდოკი და ჟუკოვა ერთმანეთს მაგნატის მესამე ცოლმა ვენდი დენგმა გააცნო. წყვილის ნიშნობის შესახებ მარტში გახდა ცნობილი. ჟუკოვასთვის ეს მესამე ქორწინებაა. პირველი ქორწინებიდან მას ჰყავს ქალიშვილი დაშა – მილიარდერ რომან აბრამოვიჩის ყოფილი ცოლი...

* * *



**როგორც მედიამაგნატის საიდუმლო სამსახურიდან დამატებით გვაცნობეს, 93 წლის მილიარდერს მხოლოდ „მსუბუქი“ სკლეროზი აწუხებს და ჯერჯერობით არ იცის, ამ ასაკში რატომ შეირთო მესამე ცოლი, მაგრამ... ჟუკოვას ქალი მას აუცილებლად გაახალგაზრდავებსო, იმედოვნებენ!**

**67 წლის ბიოლოგი აბა, რას იზამს!**

# ტრამპი ამომრჩევლებს „აგიჟებს“...

**დონალდ ტრამპის განცხადებით, საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვების შემდეგ, ამერიკის 35-ე პრეზიდენტის ჯონ კენედის მკვლელობის საქმის, 11 სექტემბრის ტერაქტისა და მილიარდერ ჯეფრი ეპშტეინის შესახებ საიდუმლო დოკუმენტებს გაასაჯაროებს.**

ყოფილი პრეზიდენტის განცხადებით, ამას ამერიკელ მოსახლეობაში, სახელმწიფო სტრუქტურებისადმი ნდობის აღდგენის მიზნით გააკეთებს. Fox News-ის ჟურნალისტებთან ინტერვიუს დროს დონალდ ტრამპმა ნიუ იორკის სასამართლოს მიერ,



მის წინააღმდეგ გამოტანილ გამამტყუნებელ განაჩენზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ დემოკრატები სასამართლო სისტემას იარაღად იყენებენ

# თურქეთში სასწავლო თვითმფრინავი ჩამოვარდა — დაიღუპა ორი ადამიანი

**თურქეთში, კაისერში სამხედრო სასწავლო თვითმფრინავი ჩამოვარდა, ამის შესახებ ინფორმაციას ადგილობრივი მედია ავრცელებს.**

**„ჩვენი საჰაერო ძალების კუთვნილი SF-260D ტიპის სასწავლო თვითმფრინავი, რომელიც კაისერის მე-12 საჰაერო ტრანსპორტის მთავარი ბაზიდან აფრინდა, გაურკვეველი მიზეზით ჩამოვარდა, – აღნიშნულია თავდაცვის სამინისტროს მიერ გავრცელებულ განცხადებაში.**

**თურქეთის ეროვნული თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, თვითმფრინავში მყოფი ორივე პილოტი გარდაიცვალა.**

**თვითმფრინავის კატასტროფის მიზეზი ამ დროისთვის უცნობია.**



საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ა.წერეთლის №116 (დიდუბე პლაზა)

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
599 36-00-35

მთავარი რედაქტორის მოადგილე
მამუკა ვაშაკიძე
597-22-07-04

შემოქმედებითი ჯგუფი:
ალეკო ასლანიშვილი
გია პლატონიშვილი
ოთარ ტურაბელიძე
თემურ ქორიძე

სტილისტ-კორექტორები:
ნაირა კეკელია,
მაია იორამაშვილი,
ოპერატორი
შორენა გვილია

რეკლამის მენეჯერი:
577-77-27-17
rkobulia29@gmail.com
ანგარიშის ნომერი
GE90BG0000000538329790

გამომცემელი:
შპს 100 — ახალი „საქართველოს რესპუბლიკა“ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 36-00-35

იბეჭდება სტამბა
„კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი

UAC(უაკ)070.4(479.22)
C–323

2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

**გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა პარასკევს, 7 ივნისს**

**უცხოური ვალუტის კურსი:**
აშშ დოლარი - 2.7914; ევრო - 3.02636;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.5484;
100 რუბლი - 3.1275; თურქული ლირა - 0.0867;
აზერბაიჯანული მანათი - 1.6407;
1000 სომხური დრამი - 7.1966.

**ამინდი 5 ივნისისთვის**

| | | | |
|---|---|---|---|
| **აღმოსავლეთი საქართველო:** | | | |
| ბარი - | ღამე | +13, | დღე +33 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | +9, | დღე +33 |
| **დასავლეთი საქართველო:** | | | |
| ბარი - | ღამე | +17, | დღე +36 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | +15, | დღე +36 |
| თბილისი: | ღამე | +18, | დღე +33 |

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 599-36-00-35, 577-77-27-17
ელ. ფოსტა: sak@sak.ge
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge